MES 7 22 0000781255

08/07/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 24.06.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:13 სთ
სხდომის დასრულების დრო: 22:30სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე (I, II, IV, V საკითხი);
სხდომის მდივანი: დავით ჩოჩიშვილი (III საკითხი);

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ირინა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. ლევან მოსახლიშვილი - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
7. თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

9. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
10. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
11. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
	ანი ბილანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
	თინათინ ბაჯელიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ვაჟა ვარდიძე	**შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი**	რექტორი	I
2	ნათია შეყილაძე		კანცლერი	I
3	დიმიტრი გეგენავა		პრორექტორი	I
4	ნინო ქათამაძე		უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი	I
5	ნინო წიქვაძე		უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი	I
6	ნატო გუგავა		„საჯარო მმართველობის“ სადოქტორო	I

			საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	
7	გიორგი გორაძე		„საჯარო მმართველობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	I
8	კახაბერ კორძაია	**შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი**	რექტორი	II
9	ვახტანგ წივწივაძე		კანცლერი	II
10	მარინა გედევანიშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
11	სერგო ჭელიძე		„სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი	II
12	გიორგი ხატიძე		სამართლის ფაკულტეტის დეკანი	II
13	სერგო ტეფნაძე	**შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი**	რექტორი	III
14	ემზარ ბარბაქაძე		რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში	III
15	ნიკა თიკანაშვილი		რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში	III
16	გიორგი ევგენიძე		ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი	III
17	არჩილ ჯანგირაშვილი	**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
18	ქეთევან გეგიაძე		საერთაშორისო აკრედიტაციის უფროსი	IV
19	ლუკა ბერაია		ანალიტიკისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი	IV
20	თინათინ ღუდუშაური		ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	IV
21	ალექსანდრე ჭულუხაძე		აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის უფროსი	IV
22	თეა მეშველიშვილი		აღმოსავლეთმცოდნეობის პროგრამის მასწავლებელი	IV
23	მაკა ბერიძე	**სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	რექტორი	V
24	ნინო მილაშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V
25	დავით ხობელია		„საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო	V

			საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
26	მალხაზ ლომსაძე		„საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი	V
27	ცისკარა ზარანდია		პროფესორი	V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ნინო ფარსადანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, V
2	ნინო დოლიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნანა ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	თამარ ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ნინო მესხიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	ნანა ცინცაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	ილია ბოცვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	მარიამ ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	დარეჯან გარდავაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	გიორგი სანიკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
13	თინათინ ქაროსანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	ჯოვანა აბლოთია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
15	მიხეილ ბიჭია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V
16	ნანა მაჭარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
17	დავით კაკიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:13 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგი („ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგი („ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. პირველი საკითხი: შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის დოქტორი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	46
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0186, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. №3
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა - ეკატერინე ნაცვლიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: ხუთივე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ფარსადანიშვილმა, განაცხადა, რომ იმყოფებოდა ბათუმში, კონფერენციაზე, სადაც დილის სესიაზე მოხსენება გააკეთეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებმა და ხაზი გაუსვეს ორ უმთავრეს მიმართულებას, 1. ღია მეცნიერების მიმართულება; 2. საქართველოს სამეცნიერო კვლევითი პოტენციალის ჯეროვნად წარმოჩენის აუცილებლობა, უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის ინტერნაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად. სანდო წყაროებზე დაყრდნობილი სამეცნიერო ინტერნაციონალიზაციის გზა არის სწორედ სადოქტორო პროგრამების ჯეროვანი განხორციელება. ექსპერტთა ჯგუფმა აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებისას მიიღო

ამომწურავი ინფორმაცია დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან და წარმოდგენილი დოკუმენტების დეტალური ანალიზის საფუძველზე მოამზადეს დასკვნა.
განსახილველი პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:
· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. არჩევით კურსებში, დოქტორანტის თეორიული ცოდნის შესაძლო ხარვეზების შევსების მიზნით, საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული კურსების შეთავაზება (მაგ., ეკონომიკის, სამართლის ან სხვ.);
2. სადოქტორო პროგრამაში ჩართული საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა.
მისი თქმით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს „საჯარო მმართველობის“ სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება, მათ შორის ყავს ძალიან ძლიერი გუნდი, რომელთან გასაუბრების შესაძლებლობაც მიეცა ექსპერტთა ჯგუფს და, შესაბამისად, ჩამოაყალიბეს დასკვნა. მან საბჭოს მადლობა გადაუხადა საკითხის დეტალურად განხილვისათვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, განაცხადა, რომ დაწესებულება გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, მადლობა გადაუხადა მათ ნაყოფიერი და კონსტრუქციული მუშაობისთვის. დადგენილი რეკომენდაციები, კი დაეხმარება პროგრამას სრულყოფაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, ირინა გველესიანი, დაინტერესდა თუ რა სახის ღონისძიებები ტარდება საჯარო მართველობის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიზნით.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, განაცხადა, რომ დაწესებულებას სტრატეგიის მიხედვით, ვინაიდან საჯარო მმართველობის დოქტორები არიან შეზღუდული რაოდენობით, დაწესებულებას სურს გარე შემფასებლებიც იყვნენ პროგრამაში, რადგან სასურველია გარედანაც შეფასდეს, როგორც კვლევითი სემინარები, ისე - სადოქტორო ნაშრომებიც. აწარმოებენ მოლაპარაკებებს, არა მხოლოდ ქართველ ექსპერტებთან, არამედ პარტნიორი უნივერსიტეტის რამდენიმე წარმომადგენელთან, დაახლოებით, 4-5 პროფესორთან ცენტრალური და სამხრეთ ევროპიდან, დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით ზემოაღნიშნული პროფესორები, ასევე კარგ თანახელმძღვანელობას გაუწევენ დოქტორანტებს და ღირსეულ ადგილს დაიკავებენ სადისერტაციო კოლეგიაში.
საბჭოს წევრი, თეა მჭედლური დაინტერესდა, თუ რა პერიოდში ხდება დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან სადოქტორო ნაშრომის სათაურის, ხელმძღვანელისა და, შესაბამისად, ინდივიდუალური კვლევის გეგმის დამტკიცება. ასევე, დაინტერესდა თუ რამდენი დოქტორანტის ხელმძღვანელობა შეუძლია ერთ სამეცნიერო ხელმძღვანელს და როგორ აქვთ გაწერილი საათები.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, განაცხადა, რომ დაწესებულებას წინასწარ აქვს არჩეული თემის ხელმძღვანელისა და სათაურის შერჩევის მოდელი, მხოლოდ იმ დოქტორანტებსა და კვლევის საკითხებს იღებენ, რომლის შესაბამისი მიმართულებაც აქვთ, სათაური, კვლევის საორიენტაციო გეგმა და ხელმძღვანელი განაცხადშივე უნდა იყოს წარმოდგენილი. უშუალოდ კვლევის კონცეფციაზე, საკვლევ თემასა და სათაურზე წინასწარ ხდება გასაუბრება, დაზუსტება და ამაზეა აგებული შინაარსობრივი მხარე. დაზუსტებული კვლევითი გეგმა უნდა წარმოადგინონ მესამე სემესტრის დაწყებამდე, როდესაც შესაძლებელია სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა ან სათაურის დეტალურად დაზუსტება და მოდიფიცირება. კომისიასთან მსჯელობის შემდეგ დაზუსტებული სათაური თავიდანვე განესაზღვრებათ, ისევე, როგორც ხელმძღვანელი, რომლის უშუალო რეკომენდაციის გარეშე ვერ ჩააბარებენ სადოქტორო პროგრამაზე. აღნიშნული აირჩა რადგან უფრო მაღალი ხარისხი და მდგრადობა უზრუნველეყო დაწესებულებას. რაც შეეხება, ხელმძღვანელობას, დაწესებულებაში მოქმედი დებულების შესაბამისად შესაძლებელია არა უმეტეს 5 დოქტორანტის ხელმძღვანელობა, ისიც წინასწარ უნდა შეთანხმდეს და სხვა უნივერსიტეტებთან საათობრივი დატვირთვის მიხედვით გადაწყვიტოს სადოქტორო სკოლამ შეძლებს თუ არა ამ რესურსის გაღებას, ვინაიდან გაწერილია სავალდებულო კონსულტაციები დოქტორანტებთან კვლევით სემესტრში, რაც აუცილებლად, ადგილზე კონსულტაციას გულისხმობს, ორ კვირაში ერთხელ, სავალდებულო გადამოწმებასა და აქტიურ ჩართულობას. შესაბამისად, ჩვეულებრივ საათობრივ დატვირთვაშიც ითვალისწინებენ დოქტორანტის ხელმძღვანელობას და საათობრივი ბადე მკაცრად არის დადგენილი/გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა, განცხადა, რომ პროგრამის წინაპირობად მითითებულია ინგლისური ენის B2 დონე, ან გერმანული ენის, ან ფრანგული ენის, ერთ-ერთ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურაში სამივე ენაზე იყო წარმოდგენილი ლიტერატურა, თუმცა დაინტერესდა, თუ როგორ უზრუნველყოფს ინსტიტუცია პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა საერთაშორისო ენაზე მოსაუბრე დოქტორანტების კონსოლიდაციას და სთხოვა ესაუბრათ აღნიშნულ კონცეფციაზე. ბიუჯეტის შესახებ განაცხადა, რომ გამოთხოვილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია უნივერსიტეტის კონსოლიდირებული ბიუჯეტი, სადაც დაწესებულებას 472 000 აქვს გაწერილი კვლევით ხარჯებზე, დაინტერესდა თუ როგორია ბიუჯეტი კონკრეტულად, განსახილველ პროგრამასთან მიმართებით, როგორ უზრუნველყოფს ინსტიტუცია კვლევით ხარჯებსა და მის მდგრადობას.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, განაცხადა, რომ სამივე ენის მიმართულებით აქვთ შეთანხმება, როგორც პარტნიორ ფონდებთან, ასევე უკვე პრაქტიკაში ახორციელებენ, გერმანულ ფონდებთან და ფრანგულ კვლევით ინსტიტუტებთან, ინგლისურენოვანი კი ყველაზე ნაკლები პრობლემაა, რადგან უამრავი საშუალება აქვთ, მაგ., პოლონეთის მთავრობის ექსკლუზიური სტიპენდია, რომელიც მათი პარტნიორი უნივერსიტეტიდან არის, სლოვაკეთის მთავრობის, ცალკე ორმხრივი შეთანხმებები აქვთ კონკრეტულ უნივერსიტეტებთან და უკვე სარგებლობენ, როგორც პროფესორები, ასევე სხვა პროგრამების დოქტორანტები, მათ შორის ამ მომენტშიც იმყოფებიან და მიმდინარე წლის ოქტომბერშიც მიდიან. კვლევითი ბაზებიც არის მრავალფეროვანი დაფარვის, რომელიც ყველა მსგავსი ენოვანი ლიტერატურით არის უზრუნველყოფილი, როგორც უნივერსიტეტი, ასევე საერთაშორისო ბაზები, რომლებიც მრავლად არის ქართულ სინამდვილეში. ბიუჯეტის შესახებ განაცხადა, რომ პროგრამას აქვს ცალკე ბიუჯეტი, კიდევ ცალკე ბიუჯეტი აქვს სადოქტორო სკოლას, რომელიც უფრო ჩაშლილია და დამატებით გათვალისწინებულია, როგორც შიდა კვლევითი გრანტები, ასევე სამეცნიერო სტიპენდიები, კონკრეტული სამეცნიერო ჯილდოები, მათ შორის ყველა საერთაშორისო გამოცდილებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი დოქტორანტებისა და აკადემიური პერსონალის შემთხვევაში. ასევე, კვლევითი მიმართულებით არსებობს მუდმივმოქმედი საერთაშორისო კონფერენციების დაფინანსება, უშუალოდ სადოქტორო სკოლის ფარგლებში და ცალკე კვლევითი ხელშეწყობა არის გაწერილი სადოქტორო სკოლის ბიუჯეტში. მონაწილეობენ კონსოლიდირებულშიც, რადგან

დაწესებულებაში მოქმედი შიდა წესებით დოქტორანტები აფილირებულ პროფესორებთან არიან გათანაბრებული და სარგებლობენ ყველა იმ შეღავათით/დაფინანსების/ხელშეწყობის პირობებით, როგორც ერთი მხრივ სტუდენტებს აქვთ, მეორე მხრივ კი აფილირებულ აკადემიურ პერსონალს.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა, განაცხადა, რომ სავალდებულო კურსი არის პროფესორის ასისტენტობა, რაც საკმაოდ დეტალურად/სრულფასოვნად არის გაწერილი, თუ მოვიდა პირი, რომელსაც აქვს პედაგოგიური გამოცდილება, არის პროფესიონალი თავის საქმეში, უბრალოდ, ჩააბარა სადოქტორო მიმართულებაზე, ამ შემთხვევაში აღნიშნული კურსი მაინც სავალდებულოა, მაგრამ დაინტერესდა, ხომ არ ითვალისწინებს ინსტიტუცია იმ ფაქტორს, რომ კონკრეტულ პირს უკვე აქვს მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ განაცხადა, რომ ასეთი შემთხვევა შესაძლებელია მოხდეს, რადგან, მაგ., „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ასეთი შემთხვევა დაფიქსირებულა. ამ შემთხვევაში დოქტორანტს პასუხისმგებელი პირი ნებისმიერ შემთხვევაში ენიშნება, მაგრამ „პროფესორის ასისტენტობა“ არ უნდა იქნას გაგებული, როგორც პროფესორის ასისტენტობა მხოლოდ სასემინარო ურთიერთობებში. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მოდელი, რომლითაც დოქტორანტს ჩვეულებრივი სალექციო დატვირთვა განესაზღვრება, ოფიციალურად ასისტენტი კი არ იქნება, არამედ აკადემიური სტატუსით წარუძღვება ლექციებს, თუმცა შემფასებლად ინიშნება ის ვის ასისტირებასაც ოფიციალურად განახორციელებს. სტატუსის მიხედვით გამოცდილების თვალსაზრისით შესაძლებელია იყოს სრული პროფესორი და ვინაიდან, ის ბევრ სხვა ელემენტსაც ითვალისწინებს შესაძლებელია უშუალოდ სალექციო პროცესში ჩართვა არც მოუწიოს, რადგან იგულისხმება რიდერის შექმნა, საგამოცდო საკითხების შექმნა, საჩვენებელი საჯარო ლექციები და ა.შ. ამ ყველაფრის შეკრებით მიიღება დასკვნა, რომ აღნიშნული კომპონენტი იქნება დაცული, აბსოლუტური უფლება აქვთ აღნიშნულის ლავირებისა და ინტერპრეტაციის, გათავისუფლება შეუძლებელია, მაგრამ მისი კვალიფიკაციის, სტატუსისა და დონის მიხედვით სილაბუსი იძლევა იმის საშუალებას, რომ ინდივიდუალურად დაიგეგმოს დოქტორანტის ჩართულობა სასწავლო პროცესში.

საბჭოს წევრი, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი, დაინტერესდა თუ ვინ განსაზღვრავს დოქტორანტის შესახებ ამ ტიპის გადაწყვეტილებასა და თუ დოქტორანტი თავისი გამოცდილების გათვალისწინებით სალექციო საათს ატარებს, იღებს თუ არა იგი ანაზღაურებას.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, განაცხადა, რომ ყველა საკითხი დოქტორანტთან მიმართებით დებულებით, სადოქტორო სკოლის, დოქტორანტის მეცნიერ-ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის ერთობლივი გადაწყვეტილებით განისაზღვრება, ცალკე ვერავინ მიიღებს გადაწყვეტილებას. რაც შეეხება ანაზღაურებას, ვინაიდან ანაზღაურება სილაბუსიდან გამომდინარე არ წვდება სალექციო პროცესის სრულ რაოდენობას. დოქტორანტი წაკითხული საათების ანაზღაურებას იღებს, თუკი, უშუალოდ, სემინარზე ან ლექციაზე შევა. თუმცა თუ სალექციო პროცესში ერთვება კლასიკური ასისტირებით, როგორიცაა ლექციებზე დასწრება, დავალებების/ნაშრომების შემოწმება/შექმნა და კლასიკური გაგებით ასისტირება, ამ შემთხვევაში დოქტორანტი ანაზღაურებას არ იღებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენად თვლიდნენ შესაბამისად პროგრამის ხელმძღვანელების კვალიფიკაციას პროგრამასთან, რადგან გაეცნო დოკუმენტაციას და პროგრამის ხელმძღვანელი არის იურიდიული კვალიფიკაციით, თანახელმძღვანელი კი საჯარო მმართველობის კვალიფიკაციით, მაგრამ სამეცნიერო მიმართულებით ბადებს კითხვას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ფარსადანიშვილმა, განაცხადა, რომ როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები კომპლექსურად დაუსვეს კითხვა, როგორც პერსონალს, ასევე პროგრამის ხელმძღვანელებს, რომელიც ფიგურალური მოვლენა და მნიშვნელოვანი პერსონაა ნებისმიერი პროგრამის განხორციელებისას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფისთვის მისაღები აღმოჩნდა მათი ხედვა, როგორც კურიკულუმის სტრუქტურირების, ასევე ზოგადი ადმინისტრირების მიმართულებითა და პროგრამის განვითარების

პერსპექტივების დასახვის მიმართულებით, ამასთანვე „საჯარო მმართველობა“ თავისი არსით კომპლექსურ გამოცდილებებს მოითხოვს, ასევე მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ორი სხვადასხვა პროფილის ადამიანი მოემსახურებოდა ამ პროგრამას თანახელმძღვანელების რანგში და ის, რომ შესაძლებელია მათ პროფესიულად სხვა გამოცდილება უფიქსირდებოდეთ და აკადემიურ კომპონენტში ოდნავ განსხვავებული, ეს დადებითად აღიქვეს, რადგან სხვადასხვა განხრით გამოცდილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საუბარია სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელზე. სხვა მხრივ სამომავლო განვითარების პერსპექტივებში რეკომენდაციად ჩაწერეს, რომ შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალით პროგრამის გაძლიერება იქნება ძალიან კარგი, თუმცა ამ გადმოსახედიდან პროგრამის ხელმძღვანელების, როგორც კვალიფიკაცია, ასევე მათი მრავალმხრივი გამოცდილება იყო ამოსავალი წერტილი და ინტერნაციონალიზაციის ხედვა, რადგან ერთ-ერთი ხელმძღვანელი სწორედ მაშინ იმყოფებოდა ვიზიტით ევროპულ უნივერსიტეტში, ამყარებდა არა მარტო კავშირებს, არამედ თავის კვლევაში ასახავდა თანამედროვე ევროპულ საუკეთესო გამოცდილებას, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფისთვის ეს განსაკუთრებით მისაღები აღმოჩნდა.

14:35 საათზე საბჭოს შემოუერთდა დავით ჩოჩიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი აფილირებული პერსონალია სფეროს შესაბამისად.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, განაცხადა, რომ სფეროს სპეციალისტია აბსულუტურად ყველა და ის, რომ ვინმე არის ეკონომიკის ან პოლიტიკის დოქტორი, ეს არ გულისხმობს საჯარო მმართველობის კომპეტენციის არ ქონას, რადგან საჯარო მმართველობის სფეროში მუშაობს ყველა, მათ კვლევები მიმართულია საჯარო მმართველობისკენ, რადგან ეს არის ინტერდისციპლინური სფერო და ასე ცალკე ამ კვალიფიკაციით დოქტორის ხარისხი ბოლო 9-10 წელია გაიცემა საქართველოში, მეტი გამოცდილება ამ სფეროს არ აქვს. დაწესებულებას ამასთან დაკავშირებით კონსულტაციაც ჰქონდა, მათ შორის საჯარო სამსახურის ეროვნულ ბიუროსთან, პოლიტიკის შემქმნელებთან და პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ევროპაშიც მსგავსი მიდგომაა და ერთიანი პოლიტიკა. სადისერტაციო კოლეგიის აფილირებული პროფესორი არის სამი მეოთხედი, მხოლოდ რამდენიმეა მოწვეული/არა აფილირებული, რადგან სადოქტორო სკოლის იდეა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იმ შემადგენლობით განახორციელონ, რომელზეც სრულად აგებენ პასუხს, კვლევითი თვალსაზრისითა და განვითარების შესაძლებლობის კუთხით, ამიტომ ვინც არის წარმოდგენილი აბსოლუტურად ყველა კვალიფიციურია საჯარო მმართველობისთვის, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია ეხება დამატებით საჯარო მმართველობის სფეროდან მოზიდვას და არა იმას, რომ პროგრამის რომელიმე წარმომადგენელს კვალიფიკაცია არ უფიქსირდება, კვლევებით, პრაქტიკული გამოცდილებით, კვლევისა და პრაქტიკის სინთეზით და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ გაიხსენა, რომ როგორც აღინიშნა, ბოლო 9 წელია სადოქტორო დისერტაციას იცავენ, შესაბამისად, დაინტერესდა თუ როგორ განსაზღვრავს დაწესებულება ამ სფეროში მომუშავე ადამიანს, მათი პროფესიული გამოცდილებით, თუ კვლევითი საქმიანობით.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, განმარტა, რომ მნიშვნელოვანია ორივე ფაქტორის სინთეზი. საჯარო მმართველობის ინტერდისციპლინური დარგების კვლევა და ამასთან ერთად პრაქტიკა და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნის გამოცდილება, რომელიც ასევე პრაქტიკული კვლევისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, აფილირებულ პერსონალის მინიმალური მოთხოვნის შესახებ, თუ რომელ ჟურნალში უნდა ჰქონდეთ გამოქვეყნებული პუბლიკაციები და რამდენად აქცევენ ყურადღებას აღნიშნულს.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, განაცხადა, რომ აფილირებულ პერსონალთან ცალკე მოქმედებს შეფასებისა და რეიტინგის სისტემები, თითოეულ

პუბლიკაციას აქვს შესაბამისი ქულობრივი სტატუსი მინიჭებული და აკადემიური თანამდებობების მიხედვით განსხვავდება მოთხოვნები, რაც უფრო მაღალია აკადემიური თანამდებობა, მით უფრო მეტია მოთხოვნა, წელიწადში ერთხელ ჩვეულებრივად ფასდება რეიტინგით, დგინდება სავალდებულო მოთხოვნებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ვინმეს რაიმე კონკრეტული ჩავარდნა აქვს აუცილებლად დგება ინდივიდუალური გეგმა, მათ შორის განვითარების თვალსაზრისით. საერთაშორისო გამოქვეყნების კუთხითაც არანაირი პრობლემა არ არის, მიმდინარე სემესტრის განმავლობაში მთლიანად გადავიდნენ . Scopus, Index Copernicus, Erih Plus-ში აქვს უმრავლესობას უახლესი კვლევები გამოქვეყნებული, მათ შორის, როგორც მიღებული, ისე უკვე გამოქვეყნებული, რაც განახლებულ CV-ებში ჩანს და ამას ებმის ანაზღაურება-წახალისების სისტემა, ეს არის ერთიანი მოდელი გაზომვადი კრიტერიუმებით Impact Factor-ის ინდექსაციის კრიტერიუმების მიხედვით შესაბამისი ქულებით განისაზღვრება მათი წლიური სამეცნიერო აქტივობა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა“ შეხვდა პუბლიკაციებში და სთხოვა განემარტა თუ რა სტატუსი აქვს აღნიშნულს, ასევე წარმოდგენილი იყო ჟურნალი „ორბელიანი“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები და ა.შ., ასევე დაინტერესდა მათი ინდექსებით.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, განმარტა, რომ ჟურნალების დიდი ნაწილი ახალია, მაგ., Journal Of Development Studies მიმდინარე წლის ბოლოს იქნება ინდექსირებული Index Copernicus, Erih Plus-ში, რისი თანხმობაც უკვე მიღებული აქვს დაწესებულებას, დაახლოებით, ორ წლიანი გეგმა აქვთ გაწერილი, რომლითაც ფიქრობენ, რომ Scopus-შიც იყოს ინდექსირებული, მას მიაჩნდა, რომ რთული პროცედურაა, მაგრამ უნდა გააკეთონ, რადგან ამაში ნამდვილად ღირს ინვესტიციის ჩადება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი წელია, რაც აღნიშნული ჟურნალები გამოდის.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, აღნიშნა, რომ Journal Of Development Studies 2 წელია, რაც გამოდის, ჟურნალი „ორბელიანი“ - მესამე წელია და მასზეც თანხმობაა უკვე მიღებული ჰუმანიტარული მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ დაწესებულებას შეეძლო Scopus-ისთვის მიემართა.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, განმარტა, რომ არ აპირებდნენ Scopus-ში ინდექსირებას, ჟურნალი „ორბელიანის“ კუთხით, რადგან მასში გამოქვეყნებული სტატიების ნაწილი მიზნად ისახავს საგანმანათლებლო მიმართულებით თარგმანების შესრულებას და ა.შ., რაც Scopus-ის მიზნებში ვერ ჩაჯდება, ამიტომ არ აქვთ ამბიცია, მაგრამ Erih Plus-ზე პრობლემა არ არის, მითუმეტეს, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების, ინტერდისციპლინარული კუთხით არ არის პრობლემა. ასევე, ჟურნალი „სამართლის მეთოდები“ უკვე ინდექსირებულია Erih Plus-ში და ელოდებიან Index Copernicus-საც, ასევე მათი პარტნიორობით გამოდის სხვა უნივერსიტეტის გამოცემები, სადაც შეუძლიათ გამოქვეყნება და ყველა მათგანი ინდექსირებულია, მათ შორის, Scopus-შიც, რაზეც უკვე აქვთ თანხმობა პარტნიორი უნივერსიტეტებისგან მათ პროფესორების სტატიების გამოქვეყნებისთვის, ზოგი ე.წ Draft ვერსიაა, ზოგი უკვე მიღებულია და წლის ბოლოს დაიბეჭდება, ნაწილი კი უკვე დაბეჭდილია.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა, დაინტერესდა კვლევის ინტერნაციონალიზაციის საკითხის შესახებ დოქტორანტებთან მიმართებით, რა მოთხოვნებს უყენებს დაწესებულება, რომელ სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში დაბეჭდვის მოთხოვნა აქვთ, რამდენ პუბლიკაციაზეა საუბარი და რაიმე სარეკომენდაციო ჩამონათვალს ხომ არ სთავაზობს დაწესებულება დოქტორანტებს.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, განმარტა, რომ დოქტორანტებს აქვთ 3 სავალდებულო გამოქვეყნება, მათ შორის ერთი აუცილებლად Scopus-ში ინდექსირებულ ჟურნალში, ერთი - Index Copernicus-ში ან Erih Plus-ში, სავალდებულო დათქმით, რომ არ შეიძლება იყოს საქართველოში გამოცემული ჟურნალი, რათა დოქტორანტს არ შეექმნას ე.წ.

ხელოვნური სათათბირო პირობები. ასევე, დოქტორანტს ევალება ერთი ქართული გამოქვეყნება, რადგან ეროვნულ/სახელმწიფო ენაზე იკვლევენ და აუცილებელია ქართული კვლევებიც განვითარდეს, ქართულ ჟურნალებთან დაკავშირებით არსებობს არა თუ სარეკომენდაციო, არამედ სავალდებულო სია, რომელიც დამტკიცებულია სადისერტაციო საბჭოს მიერ. სხვაგან გამოქვეყნება არ ჩაეთვლებათ, რადგან გათვალისწინებულია მათი ინდექსაცია, ხარისხი, ეწევიან თუ არა ფარულ რეცენზირებას და ა.შ. სამწუხაროდ, სია არც თუ ისე ვრცელია, მაგრამ ჟურნალები, რომლებიც თავისი საქმიანობით ზემოაღნიშნულს ამტკიცებენ არის შეყვანილი, გარდა ამისა დოქტორანტებს აქვთ კონფერენციებში მონაწილეობის ვალდებულება და სხვა ღონისძიებებში ჩართვის, თუმცა დამატებითი ღონისძიებები არ ათავისუფლებს სხვა ვალდებულებებისგან. სამი სავალდებულო გამოქვეყნების გადახედვას და სტანდარტის დაწევას არ აპირებს დაწესებულება, რადგან დოქტორანტმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი კვლევა ღირებულია არა მხოლოდ ლოკალური, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც, საერთაშორისო გამოქვეყნებისთვის დოქტორანტებს სემესტრში ერთხელ უტარდებათ ტრენინგი, რომელსაც წარმართავენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი პარტნიორები. ასევე, სადოქტორო სკოლა უწევს რეკომენდაციას შეარჩიონ ჟურნალები და ეხმარება მათთან კომუნიკაციის დამყარებაში. ეს არ ეხება მხოლოდ Open Access ჟურნალებს, არამედ ფასიან ჟურნალებსაც, რადგან დაწესებულებას აქვს სპეციალური სტიპენდიები დოქტორანტების გამოქვეყნებისთვის. Scopus-ში გამოქვეყნებას უფინანსებენ როგორც დოქტორანტებს, ასევე აკადემიურ პერსონალსაც და არა მხოლოდ აფინანსებენ, არამედ წლის ბოლოს წახალისებაც აქვთ, რადგან Scopus-ს იმდენი ქულა აქვს მინიჭებული, რომ ბონუსად გადადის ეს ყველაფერი და დამატებითი ფინანსური წახალისება აქვს, მაგ., პროფესორს.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, დააზუსტა არის თუ არა 100%-იანი დაფინანსება ინსტიტუციის მხრიდან და არა დოქტორანტის მხრიდან.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, განაცხადა, რომ ინსტიტუციისგან არის 100%-იანი დაფინანსება.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, აღინიშნა, რომ პროფესორს აძლევენ 5 დოქტორანტის ხელმძღვანელობის უფლებას.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, დასძინა, რომ საუბარი იყო არაუმეტეს 5 დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა საუბარი იყო 3 წელიწადში 5 დოქტორანტზე, თუ წელიწადში 5 დოქტორანტზე.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ კვლევით სემესტრში 5 დოქტორანტზე მეტი არ შეიძლება იყოს. მან განაცხადა, რომ არ იგულისხმებოდა ყოველ წელს 5 დოქტორანტი, იგულისხმებოდა ჯამში 5 დოქტორანტი აქტიურ კვლევით სემესტრში. დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების აღნიშნულ მოქმედ წესს, რადგან გააჩნია სფეროს, რადგან მედიცინა-ბუნებისმეტყველებაში მკაცრად განსაზღვრული დოქტორანტების რაოდენობა სრულიად ლოგიკურია და შესაძლებელია, სოციალურ და ჰუმანიტარულ სფეროში დამოკიდებულია პროფესორის დატვირთვასა და კონკრეტულ ინდივიდუალურ კვლევით გეგმაზე, მათ შორის, სასწავლო გეგმაზე. ყველაფერი ეს ადმინისტრირების საგანია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თანახელმძღვანელობის რეგულაციით, შეიძლება თუ არა, რომ 2 იყოს ხელმძღვანელი, ან ერთი იყოს უცხოელი, როგორ ხდება ოპონირება.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, განაცხადა, რომ თანახელმძღვანელობა დეტალურადაა გაწერილი, მათ შორის კრიტერიუმები, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს, რომელ კვლევით სფეროს წარმოადგენდეს და ა.შ. უცხოელი შესაძლებელია იყოს თანახელმძღვანელი, თუმცა ამ შემთხვევაში სავალდებულო მოთხოვნაა, რომ თუკი დოქტორანტი უცხო ენაზე არ ასრულებს დისერტაციას, რისი შესაძლებლობაც აქვს, მისი თანახელმძღვანელიც სრულად უნდა იცნობდეს დისერტაციას. შესაბამისად, დოქტორანტი იღებს ვალდებულებას, რომ ორივე

ენაზე შეასრულებს დისერტაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში თანახელმძღვანელობა შეუძლებელია, რადგან თანახელმძღვანელი და რეცენზენტი დეტალურად უნდა იცნობდეს დისერტაციას. გარდა ამისა უცხო ენაზე დაცვის შემთხვევაში, აქვს ვალდებულება ქართულ ენაზეც წარმოადგინოს დისერტაცია.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, იყო თუ არა აღნიშნული ინფორმაცია აღწერილი რომელიმე დოკუმენტში.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, განმარტა, რომ არ სჭირდება აღწერა, რადგან დოქტორანტურის დებულებაში დასაწყისშივე წერია, რომ, როდესაც ადამიანი უწევს ხელმძღვანელობას, სახელმწიფო ენაზე უნდა იყოს წარმოდგენილი. უცხოელ თანახელმძღვანელთან დაკავშირებით შესაძლებელია გამონაკლისის სახით იყოს აღნიშნული, თუმცა არ სჭირდება აღნიშვნა, რადგან როგორ შეიძლება ადამიანმა უხელმძღვანელოს ნაშრომს, რომელსაც არ იცნობს, თუ რომელიმე უნივერსიტეტს აქვს მსგავსი პრაქტიკა - არ არის სწორი.
საბჭოს წევრი, თეა მჭედლური, დაინტერესდა მიუხედავად ქართულენოვანზე სწავლისა შეუძლია თუ არა დოქტორანტს დისერტაცია დაიცვას სხვა ენაზე.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, განმარტა, რომ შეუძლია უცხო ენაზე შეასრულოს დისერტაცია, მაგრამ სავალდებულოა წარმოადგინოს ქართულ ენაზეც.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, დააზუსტა თუ რა ენაზე მიმდინარეობდა დაცვის პროცესი.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, განაცხადა, რომ დაცვაც შესაძლებელია ჩატარდეს ინგლისურ ენაზე, რადგან ეს საერთო საუნივერსიტეტო პრაქტიკაა ჯერ კიდევ 1920-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში, მათ შორის ახლაც იცავენ სხვადასხვა უნივერსიტეტებში.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, განაცხადა, რომ დეტალურად გაეცნო სადისერტაციო დებულებას და მსგავსი რამ აღნიშნული არ იყო.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, განაცხადა, რომ ეს იურიდიული ტექნიკის ამბავია, რადგან წერია, რომ შესაძლებელია უცხო ენაზე შესრულდეს დისერტაცია, შესაბამისად შეუძლებელია უცხო ენაზე შესრულებული დისერტაცია იმ ენაზე არ დაიცვას, რომელზეც შესრულდა. სხვა შემთხვევაში მთელი აკადემიური კვლევის შედეგების გაცნობა იკარგება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:53
დასრულების დრო: 14:55

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 4.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 4 წლის ვადით, 2 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

1. არჩევით კურსებში, დოქტორანტის თეორიული ცოდნის შესაძლო ხარვეზების შევსების მიზნით, საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული კურსების შეთავაზება (მაგალითად, ეკონომიკის, სამართლის ან სხვა);
2. რეკომენდებულია, რომ სადოქტორო პროგრამაში მოხდეს საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა;
3. რეკომენდებულია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალის (პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელები) სამეცნიერო -კვლევითი გამოცდილება დასტურდებოდეს დარგის შესაბამისი საერთაშორისო, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ორი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგი („ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	25.06.2019 გადაწყვეტილება №138
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი	-

	ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ჩარგლის ქუჩა №73 , ნაძალადევის რაიონი, თბილისი, სასწავლო კორპუსი №1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადეს - ნინო ჭალაგანიძემ და ლევან მოსახლიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ ალექსიძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა არაგეგმიური მონიტორინგი, რომელიც მიზნად ისახავდა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენას. ექსპერტთა ჯგუფმა გაწერა ერთი რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა, თუმცა რჩევები შემდეგ ეტაპზე მოიხსნა, რადგან დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში მიაწოდა დამატებითი ინფორმაცია და მიიჩნიეს, რომ სავსებით საკმარისი იყო რჩევების ნაწილის დასაკმაყოფილებლად. შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია, სამართლის სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაში მოიყვანოს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლთან, რომლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს, ხოლო კვლევითი კომპონენტი არ ფასდება კრედიტებით. რეკომენდებული იქნება პროგრამის კვლევითი კომპონენტი შესაბამისობაში მოვიდეს კანონის მოთხოვნებთან. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებას ჰქონდა არგუმენტირებული

პოზიცია. თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა აღნიშნული არგუმენტირებული პოზიცია, რადგან რეკომენდაცია ეხებოდა არა სასწავლო კომპონენტსა და სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობის კორექტირებას, არამედ შეფასების პროცესში ყურადღება მიაქციეს იმ საკითხს, რომ კვლევითი კომპონენტი არ უნდა ფასდებოდეს კრედიტებით. სწორედ აქედან გამომდინარეობს მათი რეკომენდაცია, რომ პროგრამის კვლევითი კომპონენტი შესაბამისობაში მოსულიყო კანონის მოთხოვნებთან. მან აღნიშნა, რომ ცენტრის უფლებამოსილ თანამშრომლებთან გაიარეს დამატებითი კონსულტაცია, რის შესაბამისად დააზუსტეს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის აღნიშნული მუხლის კითხვა და მისი პროგრამული პრაქტიკა, რომელიც თანხვედრაშია რეკომენდაციის შინაარსთან. თავიდან ფიქრობდნენ, რომ შესაძლოა ყოფილიყო ტექნიკური ხარვეზი, თუმცა არგუმენტირებული პოზიციის მიღების შემდეგ დაადგინეს, რომ გარკვეულწილად დაწესებულების ხედვას წარმოადგენს და, სწორედ აქედან გამომდინარე, დატოვეს რეკომენდაცია ძალაში. ასევე, ექსპერტთა ჯგუფისთვის შეფასების პროცესში გამოიკვეთა, რომ დოკუმენტაციაში არ იყო ნათლად, გასაგებად და თანმიმდევრულად აღწერილი, განხორციელდა თუ არა უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 46-ე მუხლთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად კონკრეტული ქმედებები. განსახილველ პროგრამაში კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობა არის სტუდენტის მიერ 180 კრედიტის დაგროვება, საიდანაც 120 კრედიტი დისერტაციაზე მოდის, რომელიც კვლევითი კომპონენტია, დაწესებულების ხედვის თანახმად, თავად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია კანონის 46-ე მუხლი მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით გულისხმობს იმას, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა 60 კრედიტი უნდა გაიგონ ისე, რომ თუ სასწავლო კომპონენტი 60 კრედიტია, ხოლო სადოქტორო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წწლისაა და, თუ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს, საშუალოდ, 60 კრედიტს - გამოდის, რომ კვლევითი კომპონენტისთვის განსაზღვრული 120 კრედიტი, რომელიც დოქტორანტს ერთჯერადად დისერტაციის დაცვის შემთხვევაში ენიჭება, ჯამში 180 კრედიტს ქმნის. ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა აღნიშნული შეხედულება, რადგან ეს ეწინააღმდეგება კანონის ზემოთხსენებული მუხლის კითხვას და პრაქტიკაში იძლევა სიტუაციას, როდესაც დოქტორანტურა გამოდის 180 კრედიტი. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ აღნიშნული ხარვეზი უკავშირდება უნივერსიტეტის მიერ კანონის განსხვავებულ კითხვას, რომლის თანახმადაც, ჩანაწერი კვლევითი კომპონენტი არ ფასდება კრედიტებით არ ვრცელდება სადოქტორო დისერტაციაზე, რომელსაც უნივერსიტეტი 120 კრედიტს ანიჭებს. ექსპერტთა ჯგუფი არ დაეთანხმა და მიაჩნდათ, რომ კანონის აღნიშნული ჩანაწერი, ისევე, როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3, მოწმობს, რომ მართალია სადისერტაციო ნაშრომი ფასდება 51-დან 100 ქულამდე, თუმცა მას კრედიტი არ ენიჭება. სადოქტორო პროგრამის კრედიტების ჯამური მოცულობა მხოლოდ სასწავლო კომპონენტის ტოლია და 60 კრედიტს შეადგენს ნაცვლად 180 კრედიტისა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მარინა გედევანიშვილი, არ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს, რადგან ისინი კანონს კითხულობდნენ სხვანაირად. ასევე, აღნიშნა, რომ მასზე ვერავინ იტყვის, რომ კანონის კითხვა არ შეუძლია, რეკომენდაცია გაცემულია შემდეგნაირად: სამართლის სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლთან, რომლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს, ხოლო კვლევითი კომპონენტი არ ფასდება კრედიტებით. რეკომენდებული იქნება პროგრამის კვლევითი კომპონენტი შესაბამისობაში მოვიდეს კანონის მოთხოვნებთან. დაწესებულების წარმომადგენელის ინფორმაციით, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 46-ე მუხლის მე-2

პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში ვკითხულობთ, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა არის არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტისა. აქ მთავრდება აღნიშნული ქვეპუნქტი და არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ კვლევითი კომპონენტი არ ფასდება კრედიტებით. აქედან გამომდინარე დამაბნეველი იყო, რადგან ზუსტად იყო მითითებული მუხლი და პუნქტი, რომელიც რეალურად კანონის ჩანაწერს არ შეესაბამებოდა. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლებმა არგუმენტირებულ პოზიციაში დაიწყეს იმის განმარტება, რომ ნამდვილად შესაბამისობაში არიან კანონთან, რადგან პროგრამაში პირდაპირ წერია, რომ პროგრამის ხანგრძლივობა არის 3 წელი და 60 კრედიტია. საბოლოო დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაცია უცვლელად არის დატოვებული, თუმცა მეოთხე გვერდზე წერია, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია არ შეეხებოდა სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობის კორექტირებას. თუმცა თუ არ შეეხებოდა რეკომენდაციის პირველი ნაწილი მაინც აღარ უნდა ყოფილიყო განმეორებული. მან განაცხადა, რომ იმუშავა ამ საკითხზე და იპოვა ჩანაწერი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3-ის, მუხლი 2-ში, კრედიტების განაწილება, სადაც ვკითხულობთ, რომ კრედიტი ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის (გარდა სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტისა და მოიცავს კონკრეტული კომპონენტის მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს). წერია, რომ კრედიტებით უნდა შეფასდეს თითოეული პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტი გარდა სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტისა, ანუ დაწესებულება კი არ არღვევს უმაღლესი განათლების შესახებ კანონს, არამედ ზუსტად ემთხვევიან კრედიტების განაწილებას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3-ის, მუხლი 2-ს, რადგან „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ არის 2 პრიმა მუხლი, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთი სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს. ამან მიიყვანა დაწესებულების წარმომადგენლები სწორედ იმ გაანგარიშებამდე, რომ თუ საშუალოდ 60 კრედიტია, მაშინ გამოდის, რომ კვლევითი კომპონენტი უნდა იყოს 120 კრედიტი და მხოლოდ ერთი ჩანაწერი არსებობს, რომ კვლევითი ნაშრომის არცერთი შემადგენელი ნაწილი არ ფასდება. გაგზავნილი აქვთ სილაბუსები და ყველა სილაბუსში ხაზგასმულია, რომ არცერთი კვლევითი კომპონენტი არ ფასდება არც ქულებით და არც კრედიტებით. შეფასები წესი/კრიტერიუმები დეტალურად არის გაწერილი, ერთადერთი ჩანაწერი არის პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში, რომ დისერტაციის დაცვის (51-100 ქულის მიღების) შემთხვევაში სტუდენტს მიენიჭება პროგრამით გათვალისწინებული აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია და 120 კრედიტი, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო კომპონენტით. დაწესებულების წარმომადგენელმა გაიზიარა რეკომენდაცია სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის 120 კრედიტის ამოღების შესახებ და არ დაეთანხმა უმაღლესი განათლების შესახებ კანონს 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გასწორებას, რადგან პროგრამის ხანგრძლივობა 3 წელია და სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტს. ვერ ემთხვევიან მხოლოდ კრედიტების განაწილებას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3-ის, მუხლი 2-ს. თუმცა დაწესებულებამ აუცილებლად უნდა გაიზიაროს აღნიშნული და ამოიღონ 120 კრედიტი პროგრამის ჩანაწერიდან, თუმცა თუ დაწესებულება ვერანაირად ადასტურებს როგორი საკონტაქტო/დამოუკიდებელი მუშაობა გასწია სტუდენტმა, რომელსაც ეტაპობრივად სულ აფასებს დისერტაციის ხელმძღვანელი და აკეთებს მოხსენებას კვლევითი კომპონენტის თითოეულ ნაწილთან დაკავშირებით, სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რატომ ვერ უნდა ყალიბდებოდეს დაწესებულება იმაზე, რომ მან გასწია დამოუკიდებელი მუშაობა და მივიდა დისერტაციის დაცვამდე. ეს პრობლემა ძალიან აწუხებს და სთხოვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ შეკრებილიყვნენ და განეხილათ აღნიშნული საკითხი, რადგან ამ შემთხვევაში იგივე უნდა ხდებოდეს სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებითაც, რადგან მასაც პირდაპირ ანიჭებენ 30 კრედიტს, აკონტროლებენ თუ არა დამოუკიდებელ

მუშაობას, შესაძლებელია ჩაუსვან საკონსულტაციო დრო, როგორიც დოქტორანტსაც აქვს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ ალექსიძემ, დააზუსტა, რომ ჩანაწერი, რომელიც რეკომენდაციაში შეიტანეს, რომ პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოსულიყო უმაღლესი განათლების შესახებ კანონს 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც პროგრამის ხანგრძლივობა უნდა ყოფილიყო არანაკლებ 3 წლისა, სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტისა, კვლევითი კომპონენტი კი არ ფასდება კრედიტებით. რეკომენდაციის ნაწილში კი ექსპერტთა ჯგუფი ამბობს, რომ რეკომენდირებული იქნება პროგრამის კვლევითი კომპონენტი შესაბამისობაში მოვიდეს. შესაბამისად, მათ არ გამოუხატავთ პრეტენზია არც სასწავლო კომპონენტის კრედიტებთან მიმართებით, უბრალოდ რაც უკვე აღინიშნა ყოველი სასწავლო წელი არის ამ ლოგიკით აწყობილი და 60 კრედიტზე მეტი ჯამურად არ უნდა იყოს. თუმცა გაიზიარა მოსაზრება მსჯელობის საჭიროების შესახებ თუ რამდენად უნდა ენიჭებოდეს სადისერტაციო ნაშრომს კრედიტი. ასევე, მსჯელობის საგანია რამდენად შეიძლება გაზომვადი იყოს აღნიშნული.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, განმარტა, რომ გაზომვის საშუალებას იძლევა უმაღლესი განათლების შესახებ კანონს 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ჩანაწერი, რომლის მიხედვით წელიწადში 60 კრედიტი უნდა იყოს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, თუმცა არ არის დაზუსტებული, რომ ეს მხოლოდ საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამას ეხება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, თამარ ალექსიძის, განმარტებით, კანონის ჩანაწერი გულისხმობს, რომ სასწავლო კომპონენტი 60 კრედიტზე მეტი ვერ იქნება და კვლევითი კომპონენტი საერთოდ არ უნდა შეფასდეს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, განაცხადა, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონში არანაირი ჩანაწერი არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ კვლევითი კომპონენტი არ უნდა შეფასდეს, სწორედ ამიტომ დაობს დაწესებულება და ამტკიცებს, რომ პროგრამა არ მოდის წინააღმდეგობაში უმაღლესი განათლების შესახებ კანონს 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან. მან დასძინა, რომ 2019 წლის შემდეგ 4 სადოქტორო პროგრამის აკრედიტაცია გაიარეს და არცერთი პროგრამის ფარგლებში, არცერთ ექსპერტსა და საბჭოს ასეთი რეკომენდაცია არ გაუცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრის, თეა მჭედლურის, განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფს დასკვნაში ეწერა, რომ უნივერსიტეტი არ ფლობს ინფორმაციას კურსდამთავრებულების შესახებ და დაინტერესდა თუ რატომ მოხდა ასე, არ არიან კურსდამთავრებულები, თუ უნივერსიტეტმა არ წარმოადგინა ინფორმაცია იმ რაოდენობის სტუდენტებზე რა რაოდენობის კურსდამთავრებულებიც ჰყავთ. სასწავლო და კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კვლევითი კომპონენტი კარგად აქვს დაწესებულებას ჩაშლილი შეფასების გარეშე, მაგრამ თითოეული კვლევითი კომპონენტის წარმოდგენის შემდეგ, დაინტერესდა თუ როგორ აფასებენ, დადებით-უარყოფით შეფასებას. ასევე, დაინტერესდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შესახებ, დაწესებულებას წინაპირობად გაწერილი ჰქონდა 180 კრედიტის მოგროვება, ერთ-ერთი წინაპირობა იყო, რომ გავლილი უნდა ჰქონოდა სასწავლო კომპონენტი, დაინტერესდა სამეცნიერო კვლევითი ნაშრომები რომელ ჟურნალებში უნდა გამოაქვეყნოს არის თუ არა წინასწარ გათვალისწინებული. რა რეიტინგულ ჟურნალებში და რამდენი სტატიის გამოცემის ვალდებულება აქვთ დოქტორანტებს. ასევე დაინტერესდა სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელის შესახებ, რამდენი დოქტორანტის აყვანის უფლება აქვს და როგორია მათი საკონტაქტო საათების რაოდენობა სემესტრის განმავლობაში.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, განაცხადა, რომ წინაპირობა დისერტაციის დაცვის წინაპირობა, თუმცა 180 კრედიტი დისერტაციის დაცვის წინაპირობა არ არის, პირიქით, როდესაც დაიცავს (მიიღებს 51-100 ქულას), ამის შემდეგ მიენიჭება 120 კრედიტი, რომ პროგრამა გამოვიდეს 180 კრედიტიანი. კვლევითი კომპონენტის შესახებ განმარტა, რომ შედგება ოთხი ელემენტისგან - დისერტაციის

დაგეგმვა და დიზაინი და სამი კოლოქვიუმი, სამივე კოლოქვიუმი არის დისერტაციის ნაწილი. ყველა სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი რა ხდება მას შემდეგ, რაც თითოეულ ნაწილზე დაამთავრებს დოქტორანტი მუშაობას. პირველ შეფასებას აკეთებს დოქტორანტის ხელმძღვანელი, აფასებს დადებითად ან უარყოფითად დოქტორანტის ნამუშევარს. თუ ხელმძღვანელმა დაწერა დადებითი შეფასება, მაშინ დოქტორანტი ვალდებულია ფაკულტეტის მიერ დათქმულ ვადაში გავიდეს სადისერტაციო საბჭოს წინაშე და გააკეთოს პრეზენტაცია იმ ნაწილის შესახებ, რომელიც კონკრეტულ სემესტრში დაასრულა. თუ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო მისცემს დადებით რეკომენდაციას, მხოლოდ ამის შემდეგ აქვს დოქტორანტს უფლება გადავიდეს კვლევითი კომპონენტის შემდეგ ნაწილზე.
საბჭოს წევრი, თეა მჭედლური, დაინტერესდა დადებითი დასკვნა ოქმის სახით ფორმდება თუ რა ფორმა აქვს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, განაცხადა, რომ აუცილებლად ოქმის სახით ფორმდება დასკვნის სახე აქვს, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო საბჭოს წევრები და დოქტორანტურის სამსახურში ინახება, დოქტორანტის პირად საქმეში. ასევე არსებობს შეფასების კრიტერიუმები, ყველაფერი ასახულია, ვინ რა აზრი გამოთქვა, რა კითხვები დაისვა დოქტორანტთან, სქემა შემუშავებულია 2014 წელს და მას შემდეგ, რაც თქვეს, რომ შესაძლებელი იყო სადოქტორო ნაშრომის ერთჯერადად შეფასება, რადგან მაშინ ცენტრში ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა ექნათ თუ დოქტორანტი 60 კრედიტს შეასრულებდა და მალევე მიიტანდა გამზადებულ დისერტაციას, უნდა მიეცათ თუ არა დაცვის შესაძლებლობა. შეფასების ამ წესით შეიქმნა გარკვეული ბარიერი იმ თვალსაზრისით, რადგან პროგრამის ხელმძღვანელი სადისერტაციო საბჭოს ძალიან მკაცრი თავმჯდომარეა და არავის გაუშვებს თუ ის არ იქნება საჭირო დონეზე. ამით გააკეთეს ის, რომ სადისერტაციო საბჭოს თითოეული წევრი უნდა იცნობდეს დოქტორანტს, მის თემას, დისერტაციას, რომელიც უნივერსიტეტში დაიცვება. მას შემდეგ, რაც დასრულებულ დისერტაციას წარმოადგენენ (წარმოდგენა ხდება ორჯერ გაზაფხულზე და შემოდგომაზე), პირველ შეფასებას აკეთებს ორი (შიდა და გარე) ექსპერტი. დადებითი პასუხის შემთხვევაში ხდება წინასწარი დაცვა. სტუდენტს შეუძლია გამოიტანოს თავისი ნაშრომი, განიხილოს/გამოასწოროს ექსპერტების შენიშვნები და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესაძლებელი რეცენზენტებთან გადაგზავნა. თუ მოვიდა ორი დადებითი შეფასება, მაშინ გადის დაცვაზე. ასევე, დებულებაში გაწერილია როგორ დგება კოლეგია თუ 5 წევრია, 2 გარედან უნდა იყოს, თუ 7 წევრია, მაინც 2 უნდა იყოს გარედან მოწვეული. დისერტანტის ხელმძღვანელი კოლეგიაში არ მონაწილეობს და ა.შ. თუ ორივე რეცენზენტისგან უარყოფითი დასკვნა მოვიდა დოქტორანტი არ დაიშვება დაცვაზე. დადებით-უარყოფითის შემთხვევაში ეგზავნება მესამე რეცენზენტს. სულ დაცულია 5 სადისერტაციო ნაშრომი. გაზაფხულზე 6 სადისერტაციო ნაშრომი შემოვიდა, გაგზავნილია ექსპერტებთან შესაფასებლად და სექტემბერ-ოქტომბერში გაუშვებენ დაცვაზე. პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში გაწერილია ინფორმაცია სტატიების შესახებ, დაცვაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობაა არანაკლებ 3 პუბლიკაცია სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდირებულ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში, დაწესებულებას აქვს თავისი ჟურნალი. 2019 წლამდე ჰქონდა საერთაშორისო ჟურნალი „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“, რომლის რებრენდინგი გააკეთეს და 2021 წლიდან დაარსეს ორი ონლაინ ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში და, ამჟამად, მიმდინარეობს რთული პროცესი ჟურნალის ბაზებში ინტეგრირებასთან დაკავშირებით, Erih Plus-ში უნდათ, რომ იყოს რეგისტრირებული, უკვე გამოსულია პირველი ნომერი, დაგეგმილია ორჯერ გამოსვლა და პირველი გამოვიდა ნოემბერში. მუხედავად იმისა, რომ მითითებულია სამართლის, სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორებმა უნდა დაბეჭდონ სტატიები, რატომღაც 6 სტატია სულ სამართლის ფაკულტეტის ლექტორებმა დაბეჭდეს, მათ შორის, დაიბეჭდა უცხოელი პროფესორის სტატიაც და Google Schoolar-შიც ჩანს. აღნიშნულ საფეხურებს მინიმუმ 3 წელი სჭირდება. გეგმავენ, რომ მომავალი წლისთვის უკვე ექნებათ. გარდა ამის, დოქტორანტს

მოეთხოვება საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა, მოხსენების გაკეთებით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 22-23 ივნისს სამართლის ფაკულტეტმა ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია, „თანამედროვე სამართლის გამოწვევები“, რომელშიც 23-მა უცხოელმა იურისტმა პროფესორმა მიიღო მონაწილეობა. უნივერსიტეტი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ არა მხოლოდ დოქტორანტებს, არამედ ბაკალავრებსა და მაგისტრანტებსაც, რომ ჩაერთონ იმ კვლევებში, რაზეც მუშაობენ მათი ხელმძღვანელები. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 20 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან 13 აფილირებულია. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ გრანტებით სარგებლობენ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორებიც, შესაბამისად ამ მხრივაც აქვთ ხელშეწყობა. ყველა სტატია, რომელსაც აქვეყნებენ დოქტორანტები და პროფესორები ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ, პროგრამას აქვს თავისი ბიუჯეტი. ამასთანავე, დოქტორანტის მიერ არგუმენტირებულად დასაბუთების შემთხვევაში შესაძლებელია პროფესორის გარედან მოწვევა, როდესაც სპეციფიური თემაა, რომელსაც უნივერსიტეტში არსებული პროფესორები ვერ უხელმძღვანელებენ. სადოქტორო პროგრამის მთავარი დანიშნულებაა, რომ აკადემიური საქმიანობისთვის მოამზადონ კურსდამთავრებულები. შესაბამისად, ხუთივე კურსდამთავრებული დასაქმებულია აკადემიურ თანამდებობებზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:18
დასრულების დრო: 16:40

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზების გასასწორებლად დამატებით 60 დღიანი ვადის განსაზღვრის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
კსუ-მ სამართლის სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაში მოიყვანოს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მოთხოვნებთან რომლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელია და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს, ხოლო კვლევითი კომპონენტი არ ფასდება კრედიტებით.

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული.

3. მესამე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	31.07.2020 გადაწყვეტილება №652935
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ქეთევან დედოფლის გამზირი №16, თბილისი, სასწავლო კორპუსები №1 და №2, 0103, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - დავით ტეფნაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, მესამე საკითხზე სხდომის მდივანად განისაზღვრა დავით ჩოჩიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი კი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვასილ კიკუტაძემ, განაცხადა, რომ შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 19 მაისს. ვიზიტის მიზანი იყო დადგინა განსახილველი პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია „კორპორაციული ფინანსების საფუძვლების“ სასწავლო კურსი, გახდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი;
2. რეკომენდებულია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსი „ხარისხის და უსაფრთხოების მართვის სისტემები ავიაციაში“ გახდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი;
3. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით დაკორექტდეს მათზე დაშვების წინაპირობები, მაგალითად: პროექტების მართვის, ადამიანური რესურსების მართვის, ექსპორტის მენეჯმენტის, საინოვაციო მენეჯმენტის სასწავლო კურსების წინაპირობად განისაზღვროს მენეჯმენტის საფუძვლების სასწავლო კურსი. კორპორაციული ფინანსების საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს ფინანსური აღრიცხვის კურსი; საგადასახადო საქმის საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს ბიზნესის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლების კურსი; ინვესტიციების საფუძვლების წინაპირობად მიეთითოს კორპორაციული ფინანსების საფუძვლების სასწავლო კურსი;
4. რეკომენდებულია საწარმოო პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობად პრაქტიკის კომპონენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე (აღნიშნული კომპონენტით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება) განისაზღვროს პრაქტიკის კომპონენტის დადგომამდე არსებული პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსის გავლა;
5. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის („აკადემიური წერის საფუძვლები“, „მენეჯმენტის საფუძვლები“, „ავიაციის საფუძვლები“, „ავიაბიზნესის საფუძვლები“, „მარკეტინგის საფუძვლები“, „მმართველობითი აღრიცხვა“, „საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ეკონომიკა“ სწავლის შედეგების ფორმულირებების დახვეწა, რათა მოხდეს მათი გაზომვადობის ხარისხის გაზრდა;

6. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდების კორექტირება, მაგალითად სასწავლო კურსის „საავიაციო უსაფრთხოება და რისკების მართვა“ სახელწოდება დაკორექტირდეს როგორც „საავიაციო უშიშროება და რისკების მართვა“;
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსში „პროექტების მართვა“ გამოყენებული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა „პროექტის მართვა მარტივად, სტენლი ი. პორტნი, (For Dummes) მე-3 გამოშვება. გამომცემლობა პალიტრა L, 2016“ ჩანაცვლდეს თანამედროვე პროფილური აკადემიური ლიტერატურით. გარდა ამისა, გასაახლებელია შემდეგი სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა: „ადამიანური რესურსების მართვა“, „აკადემიური წერის საფუძვლები“, „ბიზნესის ეთიკა“, „საერთაშორისო ბიზნესი“, „მეწარმეობა“, „აეროპორტის სისტემების დაგეგმვა და მართვა“, „საჰაერო კანონმდებლობა“, „საავიაციო ტექნიკის საფუძვლები“;
8. რეკომენდებულია, პრაქტიკის პირობით ხელშეკრულებაში აისახოს პრაქტიკანტების რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა - მართალია უნივერსიტეტი არ განიცდის პრაქტიკის ობიექტების ნაკლებობას, პირიქით საუკეთესო პრაქტიკაშიც არის გაწერილი, რადგან პროგრამა შეიძლება იყოს ერთ-ერთი იშვიათი პროგრამა, რომელიც რეალურად ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობს დამსაქმებელ/პრაქტიკის ობიექტებთან, რაც აისახება არა მხოლოდ პროგრამის შემუშავება/განვითარებაში, არამედ პროგრამის კურსდამთავრებულთა 80% პროფილურად საქმდება ორგანიზაციებში და მხარს უჭერენ პროგრამის განვითარებას, როგორც სასწავლო სტიპენდიებით, ასევე სხვადასხვა დახმარებებითა და ინფრასტრუქტურული საშუალებებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს გერმანული მოდელიც კი გაახსენდა, იმდენად კარგად იყო ყველაფერი დალაგებული;
9. რეკომენდებულია დაწესებულებამ გააგრძელოს მუშაობა აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიზნით;
10. რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გაცემულია რჩევებიც. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან შეიქმნა კონსტრუქციული თანამშრომლობის გარემო ვიზიტის პროცესში და ასევე, დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. პროგრამის კურსდამთავრებულთა უდიდესი ნაწილი მიზნობრივად არის დასაქმებული იმ ობიექტებზე, რომლებიც პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან, ობიექტების კადრების 80-90% სწორედ ამ პროგრამებიდან არის დასაქმებული.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დასაქმების მაჩვენებელთან დაკავშირებით, რადგან კვალიფიკაციის შესაბამისად ბოლო წლებში არის 43-დან 20, წინა წლებში არის 34-დან 9. დაინტერესდა სწორად კითხულობდა თუ არა თვითშეფასების აღნიშნულ ნაწილს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, განმარტა, რომ რიცხვები ნამდვილად ასე იყო მითითებული, თუმცა პროცენტული მაჩვენებლები თვითშეფასების ანგარიშის შემდეგ კიდევ უფრო გაუმჯობესებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანმა, გიორგი ევგენიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მირ გაცემული ყველა რეკომენდაცია, რადგან დაწესებულება აღიქვამს, როგორც პროგრამის განმავითარებელს, მათი შესრულება უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და, თავის მხრივ, გაზრდის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ზრდას.

მეორე რეკომენდაციის (რეკომენდებულია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსი „ხარისხის და უსაფრთხოების მართვის სისტემები ავიაციაში“ გახდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი) შესახებ, განაცხადა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი მიზანმიმართულად ჩასვეს სავალდებულო-არჩევით სასწავლო კურსებში, რადგან აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლა მათი ხედვით გამიზნული იყო იმ ადამიანებისთვის, ვინც მუშაობას დაიწყებდნენ სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციებში, ხარისხისა და უსაფრთხოების სამსახურებში. ეს არის მათი კვალიფიკაციის შესაბამისი და თუ ვინმე გადაწყვეტდა ამ მიმართულებით წასვლას, კონსულტაციების გავლით მიხვდებოდნენ, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი შექმნილია სწორედ მათთვის. აღნიშნული გაკეთდა იმისათვის, რომ სტუდენტებს ჰქონოდა არჩევანის საშუალება კრედიტების თვალსაზრისით, თუმცა აპირებენ აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებას და სასწავლო კურსის სავალდებულოდ გადმოტანას.

მეშვიდე რეკომენდაციის (რეკომენდებულია სასწავლო კურსში „პროექტების მართვა“ გამოყენებული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა „პროექტის მართვა მარტივად, სტენლი ი. პორტნი, (For Dummes) მე-3 გამოშვება. გამომცემლობა პალიტრა L, 2016“ ჩანაცვლდეს თანამედროვე პროფილური აკადემიური ლიტერატურით. გარდა ამისა, გასაახლებელია შემდეგი სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა: „ადამიანური რესურსების მართვა“, „აკადემიური წერის საფუძვლები“, „ბიზნესის ეთიკა“, „საერთაშორისო ბიზნესი“, „მეწარმეობა“, „აეროპორტის სისტემების დაგეგმვა და მართვა“, „საჰაერო კანონმდებლობა“, „საავიაციო ტექნიკის საფუძვლები“) შესახებ მან აღნიშნა, რომ მითითებული ლიტერატურა აუცილებლად განახლდება, თუმცა „ადამიანური რესურსების მართვა“-ში გამოყენებულია 2020 წელს გამოშვებული ლიტერატურა, რომელზე ახალიც ვერ მოიძიეს. „საჰაერო კანონმდებლობა“, რომლის სილაბუსიც შემუშავებულია ნორმატიული აქტებისა და ბრძანებები საშუალებით, რომლებიც ატვირთულია www.matsne.gov.ge-ზე, ზოგიერთი 2007-ში. ამასთანავე აღნიშნულ საიტზე აქვთ ჩანაწერები და შესაბამისად ხდება ახალი გამოცემის ჩასწორების/რედაქციის გადმოწერა. „საავიაციო ტექნიკის საფუძვლები“ ხორციელდება ქართულ ენაზე და სასწავლო ლიტერატურა გამოცემულია უნივერსიტეტის ეგიდით, ძალიან დიდიხნის წინ და ამ ლიტერატურის ჩანაცვლება შეუძლებელი იყო, რადგან კურსის შესაბამისი მასალა ქართულ ენაზე არ მოიპოვებოდა, თუმცა რამდენიმე დღის წინ გამოიცა ახალი წიგნი, რომელსაც ჩართავენ სასწავლო კურსში. სხვა სილაბუსებთან დაკავშირებით კი უკვე მუშაობენ მათ განახლებაზე.

მეცხრე რეკომენდაციის (რეკომენდებულია დაწესებულებამ გააგრძელოს მუშაობა აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიზნით) შესახებ, მან განაცხადა, რომ ამ მიმართულებით დაწესებულება სისტემატიურად მუშაობს, მიმდინარე წელს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას გამოცხადებული ჰქონდათ კონკურსი, რომლის შედეგადაც დაიმატეს 5 ახალი აკადემიური პერსონალი, რომელთაგან ორი პროფესორია, სამი კი ასოცირებული პროფესორი, ორი პროფესორიდან ერთი უცხოელია. შესაბამისად, თანაფარდობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ერთი და სამიდან ჩამოვიდა ერთსა და ორზე, თუმცა ამ მიმართულებით მუშაობა აუცილებელია და გაგრძელდება.

უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, ნიკა თიკანაშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები/რჩევები გააძლიერებს „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის კურსდამთავრებულების გარეშე ფაქტობრივად წარმოუდგენელია ავიაკომპანიებისა და აეროპორტების გამართული ფუნქციონირება ქვეყანაში.

მეათე რეკომენდაციის (რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით) შესახებ, მან განაცხადა, რომ ყოველწლიურად სამეცნიერო კვლევითი ცენტრისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

მიერ ხდება პერსონალის შემოწმება კვლევის მიმართულებითა და სპეციალური კითხვარების გამოყენებით. ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ აქვთ აპელაციის პროცესი. მიღებული შედეგები, ერთი მხრივ, ვებ გვერდზე ქვეყნდება, მეორე მხრივ, ამ შედეგებზე დაყრდნობით ხდება განმახორციელებელი პერსონალის მოტივაციის ამაღლება/მხარდაჭერა შიდა გრანტებით, სტატიების გამოქვეყნებით, ტრენინგ-სემინარებით, საკონფერენციო შეხვედრებით, სასწავლო ლიტერატურის დაბეჭდვით, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით და სხვ. თუმცა ეს ის საკითხია, რომელზეც ყველა დაწესებულებამ მაქსიმალურად უნდა გააძლიეროს ძალისხმევა. შესაბამისად, დაწესებულება იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას.

მერვე რეკომენდაციის (რეკომენდებულია, პრაქტიკის პირობით ხელშეკრულებაში აისახოს პრაქტიკანტების რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა) შესახებ, მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის 2.4 კომპონენტის მიხედვით დაწესებულებამ გაიაზრა და ჯერ კიდევ უპირობო ავტორიზაციის წარმატებულად გავლის შემდეგ, ფაქტობრივად ყველა ხელშეკრულება განაახლა, სადაც დაზუსტებულია პრაქტიკის ვადები და სტუდენტთა რაოდენობა. წარმოდგენილია 17 ხელშეკრულება/მემორანდუმი, რაც საუკეთესო პრაქტიკაშიც დააფიქსირა ექსპერტთა ჯგუფმა, ვინაიდან დასაქმების მაჩვენებელი ამ კუთხით მაღალია, მხოლოდ 3 ხელშეკრულებაში არის დასაზუსტებელი ეს ნაწილი. შესაბამისად, დაწესებულება იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას. ასევე, მნიშვნელოვანია თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი დასაქმების მაჩვენებელი, რომელიც ბოლო წლებში საკმაოდ გაზრდილია, 43 ადამიანიდან 36 თავისი პროფესიით არის დასაქმებული, აეროპორტების გაერთიანება, მათ შორის TAV Georgia და ავიაკომპანიები. ჯამში დაახლოებით, შემდეგი 5 წლის განმავლობაში, მხოლოდ TAV Georgia 250 ადამიანზე ოფიციალური განაცხადით მიმართა დაწესებულებას, ამ კუთხით დასაქმება არის საკმაოდ მნიშვნელოვანი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, განაცხადა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდას, აღინიშნა კიდეც, რომ ვიზიტის შემდეგ აკადემიური პერსონალის რაოდენობა გაიზარდა. დაინტერესდა ვიზიტის დროს თუ გამოვლინდა კურსის/კურსების ნაკლებობა, რომელიც საჭირო იყო პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად და დაწესებულება მათ ვერ უზრუნველყოფდა პერსონალის სიმცირის გამო.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ სავალდებულო სასწავლო კურსად არის წარმოდგენილი „ადამიანური რესურსების მართვა“, მის წინ არის „ადამიანური ფაქტორი ავიაციაში“, მეორე მათგანის მიზანი შემდეგნაირად არის წარმოდგენილი „სასწავლო კურსის მიზანია მაგისტრანტი დაეუფლოს ორგანიზაციების სპეციფიკურობიდან გამომდინარე შრომითი რესურსების პერსპექტიული ფორმირებისა და სტრატეგიული მართვის პროცესების კანონზომიერებებს“, სწავლის შედეგებში კი გაწერილია, „სტუდენტმა იცის: ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის ფილოსოფია და კონცეფცია; ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის ფუნქციები და მეთოდები“, ანუ აქცენტი გადატანილია ადამიანური რესურსების სტრატეგიულ მართვაზე. შინაარსით ეს არის ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები და არ არის საუბარი სტრატეგიულ მართვაზე. სავარაუდოდ, დასაწყისში ტექნიკური ხარვეზია, თუმცა სწავლის შედეგები ვერ ჩაითვლება ტექნიკურ ხარვეზად, რადგან სტრატეგიულ მართვაზეა აქცენტი. დაინტერესდა თუ როგორ ახსნიდა დაწესებულება ამ საკითხს, რადგან თუ სტრატეგიული მართვაა, მაშინ შინაარსის მიხედვით აღნიშნული შედეგები ვერ მიიღწევა. შესაბამისად, ან ერთი ნაწილია გასასწორებელი, ან მეორე. სწავლის შედეგებთან დაკავშირებით უნარების ნაწილში პრაქტიკული უნარები საინტერესოდ არის გაწერილი: „სტუდენტს შეუძლია: ტესტირების საფუძველზე პერსონალის შერჩევა; საკადრო რეზერვის მართვა; დელეგირების საფუძველზე უფლებამოსილებების და პასუხისმგებლობების გადანაწილება; ორგანიზაციაში ეფექტიანი გუნდის შექმნა“, მშვენიერი შედეგებია, თუმცა შეფასების მეთოდებით რანაირად შეიძლება მოხდეს ზემოაღნიშნული შედეგების მიღწევა/დადასტურება არ ჩანს, რადგან წერილობითი გამოკითხვა, პრეზენტაცია და ა.შ. არის

წამოწეული წინა პლანზე, დაინტერესდა თუ რამდენად იძლევა აღნიშნული შეფასების მეთოდები იმის დადასტურების საშუალებას, რომ სტუდენტს შეუძლია ტესტირების საფუძველზე მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები და შეარჩიოს პერსონალი, შექმნას ეფექტური გუნდი და ა.შ.

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანმა, გიორგი ევგენიძემ, განაცხადა, რომ სილაბუსი მომზადებულია ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელოს შესაბამისად, რომელსაც აქვს თავისი სწავლის შედეგები და სწავლის მიზნები, თანამედროვე წიგნებში გაწერილია მიზნები, სამუშაო წიგნი, სასწავლო კურსი შედგენილია ამის შესაბამისად. რაც შეეხება სწავლის შედეგების მიღწევადობას ტესტირების გზით, ფაქტობრივად ამის გაკეთება ტესტირების გარეშე შეუძლებელია, ტესტირება ჩადებულია არა მარტო ამ სასწავლო კურსში, არამედ სხვა სილაბუსებიც აგებულია სხვადასხვა მეთოდით, არის ღია/დახურულ კითხვები, თემის ჩამოყალიბება და სხვ. პრეზენტაციის კომპონენტის შეფასება კი საკმაოდ რთული მიდგომით ხდება, სასწავლო კურსი, სადაც პრეზენტაცია არის ჩადებული არის შემუშავებული გარკვეულწილად პროექტის სახით, რომელიც, თავის მხრივ, რთული შეფასების მეთოდით იძლევა იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების საშუალებას, რომელზეც საუბრობენ, უბრალოდ პრაქტიკული კუთხით ვერ გააკეთებენ აქცენტირებას ვერცერთ პრაქტიკის ობიექტზე, რათა რომელიმე კონკრეტული დღე იმ მოკლევადიან პერიოდის, რომელიც საკმაოდ დატვირთული აქვთ მთლიანი სამუშაო გრაფიკით, კვირაში 40 საათი, გამოეყოს ადამიანური რესურსების კუთხით მუშაობას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დასძინა, რომ უფრო მარტივია Case Study-ის შემოტანა, როლური თამაშის შემოტანა სავალდებულო არ არის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვასილ კიკუტაძემ, აკადემიურ პერსონალთან მიმართებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად გამოიკვლია და არანაირი დეფიციტი ამ კუთხით არ არის. ადამიანები თანამშრომლობენ სტაბილურად უნივერსიტეტთან, ერთადერთი ფაქტორია, რომ ეს არის სპეციფიური მიმართულება, სხვა ალტერნატივა არ არსებობს, ამიტომ სხვა რომ შევიდეს, ითანამშრომლოს და კადრი წავიდეს არ არსებობს, თუმცა ბალანსის კუთხით შესაძლებელია გაუმჯობესება. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აქვს შიდა რეგულაცია აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანაფარდობის ერთი სამთან, ანუ ამის შემდეგ ხდება გარკვეული ღონისძიებების მიღება. როგორც დააკვირდნენ პროცესს მიმდინარეობდა აკადემიური კონკურსი და როგორც აღინიშნა 5 ადამიანი დაიმატეს. პოტენციალი და რესურსი არის ძალიან დიდი, დარგის წამყვან კომპანიებში ისეთი კადრებია დასაქმებული, რომლებიც ნებისმიერ უნივერსიტეტის პროგრამას წაადგება, თუმცა მთავარია პროგრამაში აკადემიური სტატუსით ჩაერთოს. ისინი მოწოდებულნი არიან ამისთვის. ბევრ სტუდენტს უფინანსებენ სწავლას, წარმატებულ სტუდენტებს აძლევენ სტიპენდიას და ამ კუთხით მზაობა არის მათი მხრიდან. შესაბამისად, დეფიციტი შემჩნეული არ არის. იგი დაეთანხმა საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს და განმარტა, რომ სწორედ ამიტომ გაიცა რეკომენდაცია. არის ის კონტენტი, რაც უნდა იყოს ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლებში, მაგრამ სწავლის შედეგებს სჭირდება კორექცია, რისთვისაც დაწესებულება მზად არის. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა მიმართული იყო პროგრამის გაუმჯობესებისკენ და არა მისი დახარვეზებისკენ.

უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, ნიკა თიკანაშვილმა, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს არის მუდმივი სამუშაო პროცესი შეფასების მეთოდები იქნება თუ აქტივობები, მიიტანენ ინფორმაციას კონკრეტულ ლექტორამდე და რაც უფრო გაუმჯობესდება და გამრავალფეროვნდება სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები უკეთესია, მითუმეტეს დასახელებულ სასწავლო კურსში. მან გამოთქვა მზაობა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:10
დასრულების დრო: 17:18

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
1. რეკომენდებულია „კორპორაციული ფინანსების საფუძვლების“ სასწავლო კურსი, გახდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი;
2. რეკომენდებულია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსი „ხარისხის და უსაფრთხოების მართვის სისტემები ავიაციაში“ გახდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი;
3. ზოგიერთი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით რეკომენდებულია დაკორექტირდეს მათზე დაშვების წინაპირობები, მაგალითად: „პროექტების მართვის“, „ადამიანური რესურსების მართვის“, „ექსპორტის მენეჯმენტის“, „საინოვაციო მენეჯმენტის“ სასწავლო კურსების წინაპირობად განისაზღვროს „მენეჯმენტის საფუძვლების“ სასწავლო კურსი. „კორპორაციული ფინანსების საფუძვლების“ წინაპირობად განისაზღვროს „ფინანსური აღრიცხვის“ კურსი; „საგადასახადო საქმის“ საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს „ბიზნესის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლების“ კურსი; „ინვესტიციების საფუძვლების“ წინაპირობად მიეთითოს „კორპორაციული ფინანსების საფუძვლების“ სასწავლო კურსი;
4. რეკომენდებულია საწარმოო პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობად პრაქტიკის კომპონენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე (აღნიშნული კომპონენტით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება) განისაზღვროს პრაქტიკის კომპონენტის დადგომამდე არსებული პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსების გავლა;
5. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის („აკადემიური წერის საფუძვლები“, „მენეჯმენტის საფუძვლები“, „ავიაციის საფუძვლები“, „ავიაბიზნესის საფუძვლები“, „მარკეტინგის საფუძვლები“, „მმართველობითი აღრიცხვა“, „საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ეკონომიკა“ სწავლის შედეგების ფორმულირებების დახვეწა, რათა მოხდეს მათი გაზომვადობის ხარისხის გაზრდა;
6. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდების კორექტირება, მაგალითად სასწავლო კურსის „საავიაციო უსაფრთხოება და რისკების მართვა“ სახელწოდება დაკორექტირდეს როგორც „საავიაციო უშიშროება და რისკების მართვა“;
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსში „პროექტების მართვა“ გამოყენებული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა „პროექტის მართვა მარტივად“, სტენლი ი. პორტნი, (For Dummes) მე-3 გამოშვება. გამომცემლობა პალიტრა L, 2016“ ჩანაცვლდეს თანამედროვე პროფილური აკადემიური ლიტერატურით. გარდა ამისა, გასაახლებელია შემდეგი სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა: „ადამიანური რესურსების მართვა“, „აკადემიური წერის საფუძვლები“, „ბიზნესის ეთიკა“, „საერთაშორისო ბიზნესი“, „მეწარმეობა“, „აეროპორტის

სისტემების დაგეგმვა და მართვა“, „საჰაერო კანონმდებლობა“, „საავიაციო ტექნიკის საფუძვლები“;
9. რეკომენდებულია, პრაქტიკის პირობით ხელშეკრულებაში აისახოს პრაქტიკანტების რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა;
10. რეკომენდებულია დაწესებულებამ გააგრძელოს მუშაობა აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიზნით;
11. რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

4. მეოთხე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აღმოსავლეთმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	13.12.2012 გადაწყვეტილება №818
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	აღმოსავლეთმცოდნეობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ახლო ან შუა აღმოსავლეთის კვლევების ბაკალავრი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	3888 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77, თბილისი, IV კორპუსი , 0171, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა - ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა და ირინა გველესიანმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მესამე სტანდარტი კი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დარეჯან გარდავაძემ, განაცხადა, რომ განხორციელდა აკრედიტაციის ვიზიტი (19.04.2022), რომელიც მიზნად ისახავდა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენას.
პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:
· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, პროგრამის მიზან-შედეგებში ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სწავლებაში ისეთი ასპექტები იყოს გამოყოფილი და წინ წამოწეული, როგორიცაა რეგიონის პოლიტიკური გეოგრაფია, პოლიტოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ასპექტები, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები და საერთაშორისო პოლიტიკა, ახლო აღმოსავლეთის რეგიონული და საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ტერორიზმი და საერთაშორისო უსაფრთხოება - აღნიშნული რეკომენდაცია გამოიწვია კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს ცვლილებამ, კვალიფიკაციას შეეცვალა სფერო, ახლა არის ინტერდისციპლინური (სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა) და ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია ახალი სფერო უფრო გამოკვეთილიყო მიზან-შედეგებში და პროგრამის სტრუქტურაში/სილაბუსებში;
2. რეკომენდებულია ასევე, პროგრამის ინტერდისციპლინური სფერო: სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა პროგრამის სტრუქტურაშიც შესაბამისი ძირითადი სფეროს კომპეტენციების გამომამუშავებელი სასწავლო კომპონენტებით/დისციპლინებით იყოს გაძლიერებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორმა, თინათინ ღუდუშაურმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა კოლეგიალური დამოკიდებულებისა და პროგრამის გაუმჯობესებაზე მიმართული რეკომენდაციების გაცემისათვის. მან განაცხადა, დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ, როდესაც დაწესებულებამ გადააგზავნა არგუმენტირებული პოზიცია, თუმცა ამის შემდეგ დაწესებულებას ჰქონდა დრო იმისათვის, რომ მთლიანად პროგრამის შესახებ ემსჯელათ პროგრამის განვითარების საბჭოს, პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებსა და აკადემიურ პერსონალს, რომელიც ჩართულია აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრება ძირითადად ეხებოდა სხვა დეტალურ სფეროში მოქცეულ მოთხოვნებთან პროგრამის მეტად თავსებადობას. ბუნებრივია, დაწესებულებამ ჩათვალა, რომ ეს ნამდვილად რეალისტური რეკომენდაციაა, პროგრამა 2013 წლიდან აღნიშნული პროგრამა კვალიფიკაციას იმ დროს მოქმედი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კოდი-11-ით ჩამოთვლილი მიმართულებათაშორისი დარგებიდან და სპეციალობებიდან ანიჭებდა (აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრი). 2019 წლიდან ამოქმედდა სწავლის სფეროების ახალი კლასიფიკატორი, რომელმაც სხვაგვარად დააჯგუფა ბევრი დარგი და მიმართულება და კონცეპტუალურად სხვაგვარად განსაზღვრა აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც მიმართულებათაშორისი სპეციალობის ფართო და დეტალური სფეროები. კერძოდ, მათი ნაწილი ჰუმანიტარული მეცნიერებების ფართო სფეროში შემავალ 0231 ენის დაუფლების დეტალურ სფეროში მოათავსა (მაგ., არაბისტიკის, თურქოლოგიის, ირანისტიკის კვალიფიკაციები), ნაწილი კი ფართო სფეროში: სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია (მაგ., ახლო ან/და შუა აღმოსავლეთის კვლევები, რომელიც 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია ფართო სფეროს 0388 ინტერდისციპლინურ

დეტალურ სფეროშია მოქცეული – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას). საქართველოს უნივერსიტეტის „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა თავიდანვე ზოგადად რეგიონის კვლევაზე იყო ორიენტირებული კონკრეტული ენის სწავლებით. შესაბამისად, მიიჩნიეს, რომ ამ პროგრამისთვის რელევანტურია ახლო ან/და შუა აღმოსავლეთის კვლევები, რომლის ფართო სფეროა: სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია. რამაც მოითხოვა პროგრამაში აუცილებელი ცვლილებების განხორციელება და მისი მაქსიმალურად დაახლოება დარგობრივ სფეროსთან. გარკვეული ცვლილებები პროგრამაში უკვე განხორციელებული იყო ექსპერტთა ვიზიტის დროისთვის, თუმცა, მართებულად მიგვაჩნია ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება, რომ ამ თვალსაზრისით პროგრამის თანხვედრა კლასიფიკატორით განსაზღვრულ სფეროსთან მეტად უნდა გამოიკვეთოს. ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებას არ ჰქონდა ბოლომდე გადაწყობილი პროგრამა, რამაც გამოიწვია ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები. ამის შემდეგ იმსჯელა პროგრამის განვითარების საბჭომ, რათა გაეთვალისწინებინათ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და პროგრამა მაქსიმალურად მიახლოებული აღმოჩენილიყო განახლებულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. შესაბამისად, უნდა განახორციელეს შემდეგი ცვლილებები:

- პროგრამის თავისუფალი კრედიტების რაოდენობის შემცირების ხარჯზე მოხდეს პროგრამის კურიკულუმის გაძლიერება სოციალური მიმართულების ახალი სასწავლო კურსებით; თავისუფალი კრედიტებიდან ამოღებულია სასწავლო კურსი ინგლისური ენა A1, რომელიც განკუთვნილი იყო სტუდენტებისთვის, რომელთაც უნივერსიტეტში ჩარიცხვისას სუსტად იციან ინგლისური ენა და ეს დადასტურებულია ერთიან ეროვნულ გამოცდაზე მათ მიერ მიღებული დაბალი ქულით და მის ნაცვლად მზადდება პროგრამის სავალდებულო საგანი - საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური ურთიერთობების ისტორია (შეთანხმებულია ავტორთან - გელა გუნიავა და მიმდინარეობს სილაბუსზე მუშაობა). გათვალისწინებულია ისიც, რომ ამ ცვლილებამ ენასთან დაკავშირებით პრობლემა არ უნდა შეუქმნას სტუდენტს, რამდენადაც პროგრამაზე მიმდინარე წელს განისაზღვრა მინიმალური აუცილებელი ბარიერი ინგლისურ ენაში; თავისუფალი კრედიტებიდან ინგლისური ენა A2 (ელემენტარული) ამოღების ხარჯზე სავალდებულო საგნების ნუსხას დაემატა ახალი სასწავლო კურსი-კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთში (შეთანხმება უკვე მოხდა სასწავლო კურსის ავტორთან - ნინო ბაშარული და მიმდინარეობს სილაბუსზე მუშაობა); ხორციელდება არსებული სასწავლო კურსის - ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფია - შინაარსობრივი დაბალანსება პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიისთვის რელევანტური თემატიკით და, შესაბამისად, მოხდება დასახელებული კურსის ჩანაცვლება ახალი სასწავლო კურსით - ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია, მით უფრო, რომ ადამიანური რესურსი ამის შესაძლებლობას იძლევა (შეთანხმებულია ავტორთან - საბა ტაველიშვილი და დაიწყო სილაბუსზე მუშაობა);
- რეკომენდაციის (რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის („ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფია“, „ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილება და სამართალი“) სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის სიიდან იმ ნაშრომის ამოღება, რომელიც ასახსნელი თემატური მასალის მოსამზადებლად არ გამოიყენება; ასევე, მიზანშეწონილია, „ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის“ სილაბუსის შინაარსი უფრო მეტად იყოს ორიენტირებული სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის პრობლემატიკაზე) შესახებ მან განაცხადა, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებულია. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისად, სასწავლო კურსის სილაბუსებში სახელმძღვანელო ან სხვა ტიპის სასწავლო მასალა ძირითადი ან/და დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალში მიეთითება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოყენება მითითებულია რომელიმე კონკრეტული კვირის მასალაში. აღნიშნულ სილაბუსებში ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, რაც უკვე გასწორდა;

• პროგრამიდან ამოიღეს სასწავლო კურსი „საქართველოს ისტორია“ და მისი ჩანაცვლება მოხდა ახალი კურსით „საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური ურთიერთობები“, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ დაბალანსდეს სოციალური და პოლიტიკური დატვირთვის მქონე საგნები;

• სავალდებულო სასწავლო კურსებში ჰქონდათ „ახლო აღმოსავლეთის ხელოვნება და კულტურა“ პირველი და მეორე ნაწილი, თითოეული 6 კრედიტიანი. აღნიშნული კურსები ამოიღეს, მოახდინეს სილაბუსების მოდიფიცირება და ჩაანაცვლეს სასწავლო კურსით „ახლო აღმოსავლეთის ხელოვნება და კულტურა - პირველი ნაწილი ისლამამდელი პერიოდი“ და „ახლო აღმოსავლეთის ხელოვნება და კულტურა - პირველი ნაწილი ისლამური პერიოდი“, რომელთაგან თითოეული 3 კრედიტიანია და გამოთავისუფლებულია 6 კრედიტის შესავსებად. მზადდება ახალი კურსი „თანამედროვე საზოგადოება და რელიგია ახლო აღმოსავლეთში“, რომელიც ასევე, სოციალურ-პოლიტიკური დატვირთვის იქნება და ავტორი იქნება ლეილა კიკნაძე, სალექციო კურსზე მუშაობა პრაქტიკულად დამთავრებულია;

• წარმოდგენილი იყო ორი 6 კრედიტიანი საგანი „ახლო აღმოსავლეთის ისტორია - ძველი და შუა საუკუნეების“ და „ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ახალი და უახლესი პერიოდი“, მოახდინეს სასწავლო კურსების მოდიფიცირება, ამოიღე 6 კრედიტიანი საგნები და ჩასვეს უფრო მოდიფიცირებული კურსები „ისტორია“ 1 და 2, თითოეული 3 კრედიტიანი, აქაც გამოათავისუფლეს ადგილი და ამის ნაცვლად სავალდებულო საგნად დაამატეს სასწავლო კურსი „მედია და პოლიტიკა“ ახლო აღმოსავლეთზე ხაზგასმით, დავით ზურაბიშვილის ავტორობით;

• სავალდებულო საგნებიდან ამოიღეს „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“, მოახდინეს მისი მოდიფიცირება, მეტი აქცენტი გადაიტანეს პოლიტიკაზე, უსაფრთხოების თავისებურებაზე, იდეოლოგიაზე და ა.შ., შეცვალეს საგნით „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი (პოლიტიკა, იდეოლოგია, უსაფრთხოება)“ გელა გუნიავას ავტორობით;

• რეკომენდაციის (რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის („ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფია“, „ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილება და სამართალი“) სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის სიიდან იმ ნაშრომის ამოღება, რომელიც ასახსნელი თემატური მასალის მოსამზადებლად არ გამოიყენება; ასევე, მიზანშეწონილია, „ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის“ სილაბუსის შინაარსი უფრო მეტად იყოს ორიენტირებული სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის პრობლემატიკაზე) შესახებ მან განაცხადა, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებულია. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისად, სასწავლო კურსის სილაბუსებში სახელმძღვანელო ან სხვა ტიპის სასწავლო მასალა ძირითადი ან/და დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალში მიეთითება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მისი გამოყენება მითითებულია რომელიმე კონკრეტული კვირის მასალაში. აღნიშნულ სილაბუსებში იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელიც უკვე გასწორდა;

• სწავლის შედეგების ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით გაწერის შესახებ, მან განმარტა, რომ ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი, რომელშიც ამ ტიპის ხარვეზი დაფიქსირდა დაკორექტირდა ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისად, ხოლო სილაბუსში თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი - დაბალანსდა ცოდნა-გაცნობიერებისა და უნარების შედეგები;

• ინტერნაციონალიზაციის შესახებ მან აღნიშნა, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით აქტიური ღონისძიებები ხორციელდება. სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაცია დასტურდება, ერთი მხრივ, შესაბამისი ქვეყნების უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამების და/ან ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ აქტივობებში სტუდენტების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. (სტუდენტები, რომელთაც არსებული პროგრამის ფარგლებში გაიარეს კურსები სხვადასხვა უნივერსიტეტებში: ლეილა ონიკაშვილი, თამარ წოწორია, მაგომედ მამედოვი, ლაშა ჩილინგარაშვილი, მარიამ ჭანტურია, ნანა არაბული, მარიამ იაკობიძე, სოფო ალავიძე) და, მეორე მხრივ, პროგრამის განხორციელებაში ჩართული

უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობით(იხ. თანდართული დოკუმენტაცია). რაც ეხება კვლევითი მუშაობის ინტერნაციონალიზაციას მომზადებულია კვლევითი პროექტი, რომელიც ეძღვნება ქართული თურქოლოგიის საიუბილეო 100 წლისთავს და მოიცავს: დოკუმენტური ფილმის შექმნას - ქართული თურქოლოგია, საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებას თურქეთის რესპუბლიკის საისტორიო საზოგადოების მხარდაჭერით ავტორთა კოლექტივის მიერ განმაზოგადებელი ნაშრომის მომზადებასა და პუბლიკაციას ქართული თურქოლოგიური სკოლისა და მათი მიღწევების შესახებ. პროექტი მომზადდა თურქული მხარესთან ერთად (პროფ. სალიჰ უჩაქი და დოქტორი- სერპილ იაზიჯი შაჰინი) და შეტანილია თურქულ სამეცნიერო ფონდში (სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევების საბჭო). გარდა ამისა, დაგეგმილია საერთაშორისო ზაფხულის ორგანიზება ერდოღანის სახელობის რიზეს უნივერსიტეტის ქართველოლოგიური მიმართულების სტუდენტებისთვის. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში და აქვეყნებს სამეცნიერო მუშაობის შედეგებს, თუმცა, ბუნებრივია, ამ მიმართულებით მუშაობის კიდევ უფრო მეტად გააქტიურება მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება პროგრამას. რაც შეეხება პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო კონფერენციებსა და პუბლიკაციებში დაწესებულება ეცდება მაქსიმალურად გააქტიუროს ისინი. ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელმა რამდენიმე სამეცნიერო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც დაგეგმილი იყო ვიზიტის დროსაც: 1. თეირანში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენცია ირანი და ცენტრალური აზია, აბრეშუმის გზაზე მონღოლთა და ილხანთა ეპოქაში; 2. თეირანის უნივერსიტეტსა და საქართველოს უნივერსიტეტის მეორე სამეცნიერო სემინარი აქემენიდების მემკვიდრეობის შესახებ საქართველოში, და; 3. ირანული უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო სემინარი. პროგრამის კიდევ ერთი პერსონალი, განმახორციელებელი, თეა მეშველიშვილი მონაწილეობას მიიღებს თურქოლოგთა საერთაშორისო კონგრესში, სექტემბერში, სადაც მოხსენება უკვე გადაგზავნილი აქვს და დასტური მიღებულია მონაწილეობის შესახებ;

- რეკომენდაციის (რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად ჩაერთოს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებში, რაშიც, სასურველია, უსდ-მ მეტად შეუწყოს მათ ხელი) შესახებ, მან განაცხადა, რომ პრაქტიკულად ამ რეკომენდაციაზე პასუხი ნაწილობრივ უკვე აისახა წინა რეკომენდაციის პასუხში, მაგრამ, კიდევ ერთხელ ხაზგასმით შეიძლება აღნიშნოს, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წარდგენის წესი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისთვის, რომლის სამეცნიერო საბჭო განიხილავს და დადგენილი პროცედურის შესაბამისად აფასებს წარდგენილ პროექტებს და, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, აფინანსებს პროექტს. გარდა ამისა, სკოლის ფარგლებში ფუნქციონირებს ქართველოლოგიური ინსტიტუტი (ხელმძღვანელი მ. სანაძე), რომელიც მხოლოდ კვლევებზეა ორიენტირებული. დასახელებულ ინსტიტუტს ცალკე აქვს გამოყოფილი რეგიონული კვლევების მიმართულება (კოორდინაციას უწევს ალექსანდრე ჭულუხაძე) და აღმოსავლეთმცოდნეობის პროგრამაში ჩართულ ნებისმიერ მკვლევარს ან მკვლევართა ჯგუფს შეუძლია პროექტის მომზადება და წარდგენა ამ ინსტიტუტში.

საბჭოს თავმჯდომარემ, განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის მოსმენა ძალიან საინტერესო იყო, თუმცა სთხოვა ესაუბრა მხოლოდ იმ რეკომენდაციების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება არ ეთანხმება.

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორმა, თინათინ ღუდუშაურმა, განაცხადა, რომ რეალურად გაცემული ყველა რეკომენდაცია, რომელიც მიზნად ისახავდა პროგრამის გაუმჯობესებასა და მაქსიმალურად მორგებას კლასიფიკატორთან, შესაბამისად დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაციები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ მისთვის, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გარე შეფასება და მართლაც ღირებული

რეკომენდაციები მიიღეს, რამაც განავითარა პროგრამა. მან აღნიშნა, რომ პროგრამა არსებობს 2012 წლიდან, მაშინ მიმართულებათაშორისი დარგი იყო და დაწესებულებას ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩო აძლევდა იმის შესაძლებლობას, რომ მიეკუთვნებინათ რომელიმე მიმართულებით და იყო წმინდად ჰუმანიტარული. 2019 წლიდან, როდესაც ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩო შეიქმნა, გარკვეული პრობლემები შექმნა, რაც გამოწვევები იყო დაწესებულებისთვის და მათი პოლიტიკა მიმართული იყო, რომ როდესაც ხდებოდა პროგრამის მოდიფიკაცია ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებით, უფრო გაატარეს ინტეგრირების პოლიტიკა, რადგან მიმდინარე პროგრამა იყო. სხვა შემთხვევაში მთლიანად უნდა შეეცვალათ პროგრამა, მიმდინარე პროგრამას კი კანონით განსაზღვრული ვალდებულება აქვს. აქედან გამომდინარე დამატებითი ვალდებულებები გააჩნია წარმოების სახით და ინტეგრირების პოლიტიკას მიმართეს, რაც ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა, გაიგო მათი პოზიცია და მათი მხრიდან უთხრეს რომ არა ინტეგრირების კუთხით, არამედ წმინდად გამოკვეთილი ყოფილიყო საგნობრივად სოციალური საკითხები, სოციალური მეცნიერებების ასპექტები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დარეჯან გარდავაძემ, მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს, ექსპერტთა ჯგუფის პოზიციის გაზიარებისთვის. მისი განმარტებით დასკვნაშიც იყო ასახული, რომ განხორციელდა რიგი ცვლილებები, რომლებიც უფრო მკვეთრ ცვლილებას ითხოვდა პროგრამის სტრუქტურაში და მიუხედავად ამ ცვლილებებისა, ვინაიდან პროგრამას ახალი კვალიფიკაციით ჯერ არ უმუშავია, სტუდენტთა მიღებამდე გარკვეული ტიპის რეორგანიზაცია გონივრულ ვადებში სრულიად შესაძლებელია, რაც პროგრამაზე მხოლოდ დადებით გავლენას მოახდენს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე, დაინტერესდა არის თუ არა სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომის დაცვა და თუ სავალდებულოა ხდება თუ არა ნაშრომის შემოწმება პლაგიატზე. დააზუსტა, თუ რა სიხშირით ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი და პერსონალთან დაკავშირებით დაინტერესდა არსებობს თუ არა რაიმე შიდა რეგულაცია, რომელიც საზღვრავს დასაქმებული პერსონალის ხარისხს, გამოქვეყნებულ ნაშრომებს, კვალიფიკაციასა და ა.შ. სიახლეთა გარჩევის მეთოდთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სილაბუსებში ვერ მიაგნო, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაეზუსტებინა ეხებოდა მთლიანად პროგრამას თუ რომელიმე კურსს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ საბაკალავრო ნაშრომი პროგრამაში ერთ-ერთ კომპონენტად არის განსაზღვრული, გარდა ამისა Turnitin-ის პროგრამასთან გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც აძლევენ დაშვებას დაწესებულებას და ისინი არეგისტრირებენ სტუდენტებსა და პროფესორებს. შესაბამისად, ლექტორები ამ პროგრამის საშუალებით ნახულობენ თუ რამდენად ემთხვევა სტუდენტების მიერ ატვირთული ნაშრომი სხვა ნაშრომს, რაც მათი მექანიზმის მიხედვით ლექტორის ვალდებულებაა, რომ გაწითლების მაჩვენებელი შეამოწმოს რითია გამოწვეული. ამ პროგრამის დადებითი მხარე არის ის, რომ გააჩნია ფილტრები და ლექტორებს წინასწარ შეუძლიათ დაადონ წინადადებები, რაზეც შეიძლება არ გაწითლდეს, თუმცა ლექტორს ევალება მაინც გადახედოს. მონიტორინგის შესახებ მან განაცხადა, რომ პერსონალთან დაკავშირებით დაწესებულებაში არის ატესტაციის პოლიტიკა, მათ შორის სკოლების მიხედვით სემესტრულად ან წელიწადში ერთხელ პროგრამულად არის განსაზღვრული, ცენტრალური ხარისხი კი ერთვება პროგრამის განვითარების საბჭოში, რომელიც არის ყველა პროგრამისთვის ინდივიდუალურად შექმნილი ორგანო, რომელიც მუშაობს, მინიმუმ წელიწადში ერთხელ და აფასებს სკოლების მიერ განხორციელებული შეფასებების ხარისხობრივ/შინაარსობრივ მაჩვენებელს, რაშიც მოიაზრება, არა მხოლოდ გამოკითხვების ანალიზი. ასევე საუბარი არის ხოლმე ლექტორებთან მიმართებაში გარკვეული პრეტენზიების შესახებ, მონიტორინგი პუბლიკაციების თვალსაზრისით ხდება, რომ სანამ ხელშეკრულებას გაუფორმებენ/მოხდება ლექტორის აკადემიურ თანამდებობაზე აყვანა არსებობს პირველი ფილტრი, სადაც კომისია არჩევს შესაბამის პირებს. შიდა მოთხოვნები

გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა არის ხოლმე მოწვეული/აკადემიური პერსონალის შემთხვევაში განსხვავებული, დგინდება მათი კომპეტენციის საკითხი და შემდეგ ხდება ადამიანების არჩევა. მექანიზმი, რითიც შეუძლიათ რომ იამაყონ არის, რომ 2017-2018 წლიდან აქვთ ბონუსური პრემიების სისტემა, რომელიც გულისხმობს, რომ დაწესებულების ინტერესია მოხდეს კვლევების ინტერნაციონალიზაცია და ნაშრომების შპს საქართველოს უნივერსიტეტის სახელით გამოქვეყნება. ამ თვალსაზრისით არა მხოლოდ აკადემიურ პერსონალს, არამედ შპს საქართველოს უნივერსიტეტის სახელით გამოქვეყნების შემთხვევაში უფრო მეტი პრემია ეკუთვნით პირებს, რომლებიც დოქტორანტს/მაგისტრანტს ჩართავენ კვლევების ნაწილში, დაწესებულება უფინანსებს ყველა ხარჯს, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს კვლევაში.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ, გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია. მან პირველი რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ მიზანსა და შედეგებზე, აბსოლუტურად სწორად უთითებს ექსპერტთა ჯგუფი, როდესაც საუბრობს რეგიონის პოლიტიკური გეოგრაფიის, პოლიტოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ასპექტების, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებისა და საერთაშორისო პოლიტიკის ასპექტების შეტანაზე. თუმცა აუცილებელია ცვლილება განიცადოს პროგრამის მიზანმა და შედეგმაც, რადგან გლობალური და საერთაშორისო ასპექტი, მისი აზრით დაკარგულია, ჩნდება მხოლოდ პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის ნაწილში. რაც შეეხება მიზანს და შედეგებს ცოდნა გაცნობიერებისა და უნარების თვალსაზრისით, აღნიშნული ასპექტი დაკარგულია, რის შესახებაც დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით. შეფასების კომპონენტებთან დაკავშირებით დაინტერესდა ხომ არ ფიქრობდნენ, რომ ყველა სასწავლო კურსში არის უნიფიცირებული და ხომ არ საჭიროებდა ცვლილებას სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე. მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში საუბარია საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე. აბსოლუტურად სწორად უთითებენ, რომ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი არ უნდა იყოს ერთი პირი, რაოდენობის საკითხი გასაგებია, რაც უკავშირდება სასწავლო დატვირთვას და რამდენად დაძლევადია ერთი ადამიანისთვის ბევრი საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა. თუმცა მისი კითხვა ეხებოდა თვისობრიობას, თუ რამდენად მისაღებია არაბისტიკაში, ირანისტიკაში და თურქოლოგიაში ერთი მიმართულების პროფესორი იყოს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი, რამდენადაც მისი კვალიფიკაცია მუშაობს მხოლოდ ერთ, კონკრეტულ მიმართულებაზე. საუბარი იყო ლიტერატურის გამდიდრების კონტექსტზე, მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რომ რამდენიმე სილაბუსში მითითებული იყო სასწავლო კურსები, რომლებიც მომზადებულია უშუალოდ დაწესებულებაში, დაინტერესდა თუ ნახეს აღნიშნული სასწავლო კურსები და სთხოვა ესაუბრათ მის ხარისხზე, მიმართა დაწესებულებას, რომ ძალიან გაუკვირდა მათ აკადემიურ პერსონალში გარკვევა, რადგან CV-ის ფორმა იყო აბსოლუტურად გაუგებარი, ატვირთული იყო პირადობის მოწმობები, ფოტოები, კონფერენციების მასალები, რაც მისი მოსაზრებით, საბჭოსთვის სამუშაოდ რთულია. შესაბამისად, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს შეექმნათ CV-ის ფორმა, რომელიც მისცემდა პერსონალის შესაძლებლობების მკაფიოდ დანახვის საშუალებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დარეჯან გარდავაძემ, შეფასების სისტემასთან და კრედიტებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სასურველია დაწესებულებამ უფრო დეტალურად უპასუხოს. მიზან-შედეგები ექსპერტთა ჯგუფის პირველი რეკომენდაციაა, რადგან მანამდე არსებული პროგრამა თავისი პროფილით გადახრილი იყო უფრო ჰუმანიტარული მიმართულებისკენ. ბუნებრივია, ჰუმანიტარული პროფილი მის მიზან-შედეგებშიც ჩანდა და მის სტრუქტურაშიც, როდესაც სტრუქტურა შეიცვლება და სოციალური პროფილით და გაძლიერდება ეს მიზან-შედეგებშიც აისახება. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი ცვლილებები მიზან-შედეგებში ასახული ცვლილებებიც არის.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სთხოვა ესაუბრა სასწავლო კურსებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დარეჯან გარდავაძემ, სასწავლო კურსებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სასწავლო კურსები ატვირთული აქვთ თავიანთ სისტემაში, ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე მიეცა იმის საშუალება, რომ ენახათ, დამატებით ლიტერატურასთან ერთად, რომელიც წარმოდგენილ სილაბუსებში წარმოდგენილი არ არის და შესაბამისად ამას, როგორც ტექნიკურ ხარვეზს, ასე ასახავენ.
ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორმა**,** თინათინ ღუდუშაურმა, მიზანთან და შედეგებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სრულიად ლოგიკურია, საბჭოსთვის გადაცემულ პროგრამაში არ იყო ცვლილებები განხორციელებული, მისადაგებული იყო არსებულ კურიკულუმს. ამ ეტაპზე თუ დაწესებულებას მიეცემა განახლებული პროგრამის გადაგზავნის საშუალება, რომელიც ახალ მიზანს ისახავს და ახალ შედეგებზე გადის, ყველა ის ცვლილება, რომელიც განხორციელდა სასწავლო გეგმაში მოითხოვა პროგრამის მიზან-შედეგებისა და ცოდნა-უნარების შეცვლა. ყველა ცვლილება სრულფასოვნად არის ასახული მიზანსა და შედეგებში. მან დაადასტურა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია, რომ დაწესებულებამ ნამდვილად აჩვენა, დამატებითი ლიტერატურა, ასევე სტუდენტებისთვის შედგენილი სასწავლო მასალა, ბიბლიოთეკის ბაზაში.
საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელი არ არის. პროგრამის ხელმძღვანელი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხელმძღვანელობს საბაკალავრო ნაშრომს თუ მიმართულებით მას კომპეტენცია გააჩნია. უბრალოდ, უკვე შესრულებული საბაკალავრო ნაშრომები, რომლებიც ალექსანდრე ჭულუხაძის ხელმძღვანელობით შესრულდა არის ისეთი ნაშრომები, რომლებიც არა ენობრივი, არამედ რეგიონმცოდნეობის თვალსაზრისით იყო გაკეთებული. ექსპერტთან ერთად, რომელიც კონკრეტულად მუშაობდა იმაზე, რაც სპეციფიკური/განსხვავებული იყო, მას ჰქონდა ამის გაკეთების საშუალება და საუბარია სტუდენტთა საკმაოდ მცირე რაოდენობაზე, სემესტრში მაქსიმუმ 3-4 სტუდენტი, რადგან ამ ეტაპზე პროგრამას ბევრი კურსდამთავრებული არ ჰყავს. მეოთხე კურსზე გადასული სტუდენტების ნაწილი, რომელთაც გარკვეული პრობლემების გამო შესაძლებელია დასჭირდეთ სემესტრის დამატება, ზოგიერთი საგანი შესაძლებელია არ აქვთ ჩაბარებული, ყველა მათგანი არ მიდის საბაკალავრო ნაშრომამდე. თუმცა იგულისხმება, რომ ყველა ისეთი საბაკალავრო ნაშრომის შესრულების დროს, როდესაც რაიმე განსხვავებულ კომპეტენციას მოითხოვს ამის მიხედვით შეირჩევა საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი და ექსპერტი. შეფასების შესახებ მან განაცხადა, რომ შეფასების ფორმებში, რომელიც საბჭოს წევრმა იგულისხმა, სიახლეების განხილვა ზოგადად არის ერთ-ერთი მეთოდი, რადგან უნივერსიტეტის ყველა სასწავლო კურსს შეიძლება ეხებოდეს, გააჩნია ლექტორს, რამდენად არის სიახლეები მის სფეროში, იგულისხმება, რომ როდესაც ჩნდება სიახლეები, რაღაც სტატია ქვეყნდება და ა.შ. ამ სიახლეების განხილვა.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ, დააზუსტა ძირითადად არის წერითი/ზეპირი გამოკითხვა და პრეზენტაცია თითქმის ყველა სასწავლო კურსში არის აღნიშნული უნიფიცირებული შეფასების ფორმები და დაინტერესდა, ხომ არ ჯობია სასწავლო კურსის სპეციფიკასთან თავსებადობაში მოვიდეს შეფასების მეთოდი.
ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორმა**,** თინათინ ღუდუშაურმა, განაცხადა, რომ არა მხოლოდ უფიქრიათ, არამედ ნებისმიერ ლექტორს/აკადემიურ პერსონალს, რომელიც იწყებს მუშაობას, პროგრამის განხორციელებაში ერთვება, თავიდანვე აქვს შეთავაზებული თუ რა ფორმით სურს გამოკითხვა. ეს არის შუალედური გამოკითხვა, დასკვნითი გამოცდა, რომელიც კომპიუტერულია და რამდენიმე კომპონენტისგან შედგება და კომპიუტერული წესით ბარდება, თუ არ იგულისხმება გამოცდა ენაში და ისინი თვითონ არჩევენ თუ როგორი შეფასების სისტემა უნდა ჰქონდეთ. მისი მოსაზრებით წერითი გამოცდა მითითებულია, რადგან თეორიულ საგნებში გამოკითხვის ერთ-ერთი ფორმად აუცილებლად არის გათვალისწინებული, შედის კითხვები, დასაწერია თემა, გასაკეთებელია ანალიზი და ეს

ყველაფერი ერთიანდება ერთი სახელწოდების ქვეშ - „წერითი გამოცდა“. ზეპირი კომპონენტი ნებისმიერ საგანში უნდა იყოს, მაგრამ ენაში აუცილებლად არის და პრეზენტაციაში იგულისხმება, რომ ენის გარდა, ყოველ კვირაში კეთდება საკურსო რეფერატები, რომლის პრეზენტაციაც აუცილებლად ხდება. რეფერატის ნაწილი არის წერილობითი ტექსტი, რომელიც ცალკე შეფასებას ექვემდებარება და რეფერატის წარდგენა არის შეფასების ერთ-ერთი ფორმა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ყველა სილაბუსის რედაქტირება მიმდინარეობს ონლაინ ფორმატში. ყველა ლექტორს საშუალება აქვს თავისი სილაბუსი თვითონვე დაარედაქტიროს. ასევე ყველა სილაბუსთან მიმართებით ინტეგრირდება თავისი შაბლონი. ეს არის ჯამური სისტემა, სადაც მოაზრებულია თუ როგორი ტიპის შუალედური შეფასება ექნება, დასკვნითთან მიმართებით არსებობს ძირითადად ერთი ტიპის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით. შუალედური გამოცდის მენეჯმენტი კი თვითონ შეუძლია. ცენტრალურ ხარისხს შეუძლია მხოლოდ გაუზიაროს ლექტორებს ინფორმაცია არსებული შესაძლებლობების შესახებ, მაგრამ ის, რასაც საბჭო ნახულობს მისი ინიციატივაა, რომ გამოყენებული იყოს აღნიშნული მექანიზმი და ეს არის ლექტორების მეერ არჩეული მიდგომა. მისი დაკვირვებით სადაც უფრო მეტად ჭარბობს თეორიული საკითხები არსებობს ასეთი სახის უნიფიცირებული მიდგომა, რომელიც არის ლექტორების მიერ არჩეული, მათი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში. ასევე, არსებობს განსხვავებული მიდგომა ამავე პროგრამაში, როგორც იყო წარმოდგენილი ლოგიკა შეფასების მიდგომა შაბლონი ასე შეიქმნა და შესაძლებელია ამავე პროგრამის ფარგლებში განსხვავებული მიდგომის ნახვა. მისთვის გასაკვირი იყო CV-ებთან მიმართებაში გამოთქმული მოსაზრება. შესაბამისად, დაინტერესდა თუ რამ გამოიწვია კონკრეტულად, რადგან არც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში იყო ნახსენები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დარეჯან გარდავაძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს რჩევაში აქვს გაწერილი, რომ უმჯობესია ჩამოყალიბდეს CV-ის ერთიანი ფორმა, რადგან აღსაქმელად უფრო მარტივი იქნება.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ უნივერსიტეტში არსებობს CV-ის ერთიანი ფორმა, ყველაფერი აწყობილია ონლაინ სისტემაზე, მაგრამ ზოგიერთ ლექტორს ურჩევნია გააგზავნოს CV და HR ახდენს, ხოლმე online.ug-ზე პროფილის შესაბამისად ჩამოტვირთვას და თუ ლექტორს არ აქვს შევსებული. ლექტორები არიან ძალიან დატვირთულები, ბევრი საქმიდან გამომდინარე და სხვადასხვაგან შევსების დრო აღარ აქვთ, თუმცა თუკი ექსპერტთა ჯგუფი გამოთქვამდა მოსაზრებას დაწესებულების წარმომადგენლები აჩვენებდნენ online.ug-ზე და დარწმუნდებოდნენ, რომ დაწესებულებას აქვს უნიფიცირებული ფორმა. თუკი რაიმე იყო გაუგებარი ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებლობა აძლევს დოკუმენტაციის დამატებით გამოთხოვის შესაძლებლობას.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ, განაცხადა, რომ მისთვის მისაღებია დაწესებულების წარმომადგენლის მიერ გაცემული პასუხი, თუმცა არ იყო მიწოდებული შესაბამისი ფორმით და იყო ძალიან ბევრი მასალა, რომელიც არ იძლეოდა თანმიმდევრულად აკადემიური პერსონალის საქმიანობს ნახვის შესაძლებლობას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განმარტა, რომ ეს იყო სრულად პრაქტიკული საკითხი, მას, როგორც უნივერსიტეტის ლექტორს შევსებული ჰქონდა აღნიშნული ფორმა და ძალიან კარგად იყენებს.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ, განაცხადა, რომ მისთვის ძალიან საინტერესო იყო პროგრამის გადატანის საკითხი, რადგან ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან გადავიდნენ სოციალურ მეცნიერებებში და გაამყარეს პროგრამა სასწავლო კურსებით. იგი დაინტერესდა, აიყვანეს თუ არა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრები პროგრამის ძირითად განმახორციელებელ პერსონალად და როდესაც მოამზადებენ ნაშრომს, აღნიშნული ცვლილება

როგორ შეემჩნევა, ეყოლებათ ერთი ხელმძღვანელი, რომელიც პროგრამის ძველ კვალიფიკაციას ემსახურებოდა თუ როგორ გამოჩნდება აღნიშნული ინტერდისციპლინური კუთხე.
ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორმა, თინათინ ღუდუშაურმა, განაცხადა, რომ წმინდად ჰუმანიტარული ეს დარგი არასდროს ყოფილა, იყო მიმართულებათაშორისი დარგი - რეგიონმცოდნეობა. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო რეგიონზე და გაძლიერებულად ისწავლებოდა სტუდენტის მიერ შერჩეული ენა, ჩარიცხვისთანავე ირჩევდნენ ამ ენას და ასწავლიდნენ 8 სემესტრის განმავლობაში, მაგრამ კონტექსტი იყო სოციალურისა და ჰუმანიტარულის გადაკვეთაზე, თავიდანაც, რადგან იყო მიმართულებათაშორისი დარგი. როდესაც ითქვა, რომ გაითვალისწინეს ექსპერტების რეკომენდაციების ძალიან დიდი ნაწილი, რაც პირველ რიგში ეხებოდა საგნების რაღაც ნაწილის წამოღებას სოციალურ მეცნიერებათა სკოლიდან, სადაც საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკისა და სოციალური მეცნიერებების სპეციალისტები არიან, სწორედ ეს კადრები არიან, რომლებიც თავისი სასწავლო კურსებით გადადიან განმახორციელებელი პერსონალის რანგში. ასევე სავსებით ლოგიკურია კითხვა, თუმცა იმთავითვე გაუგებრობაა, რომ მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს თავის თავზე აღებული ყველაფერი, ასე გამოვიდა დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა თემის არჩევიდან გამომდინარე. სანამ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მორგება დასჭირდებოდათ მანამდეც არსებობდა სხვადასხვა სპეციალისტი და, შესაბამისად, იყო შესაძლებლობა რომ სხვადასხვა ადამიანს ეხელმძღვანელა. ახლა აბსოლუტურად სხვა კვალიფიკაციას აძლევენ სტუდენტს, შესაბამისად, ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი აუცილებლად იქნება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანი.
საბჭოს წევრი, ნინო ჭალაგანიძე, დაინტერესდა იყო თუ არა საუბარი გაზიარებულ კურსებზე, სხვა სკოლების წარმომადგენლები მოჰყავთ, რომლებიც სპეციალურად მათთვის ქმნიან სასწავლო კურსებს თუ მხოლოდ არგებენ.
ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორმა, თინათინ ღუდუშაურმა, განმარტა, რომ გარკვეულ ნაწილში კურსები არსებობდა და სთხოვეს მოერგოთ.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, განაცხადა, რომ როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული პროგრამას ჰყავს 12 კურსდამთავრებული, არის რამდენიმე ცარიელი გრაფა, თუმცა აღნიშნულია, რომ 12 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 67%, მაგრამ არ ჩანს თუ რამდენია დასაქმებული კვალიფიკაციით და სთხოვა დაეზუსტებინათ. ასევე, კურსდამთავრებულთა მიერ შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისა და კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების გრაფა ცარიელია და სთხოვა დაეზუსტებინათ თუ რატომ არ იყო, მაგ., შედეგები შეფასებული, ასევე დაინტერესდა შედეგების შეფასების მაჩვენებლითა და სამიზნე ნიშნულების დოკუმენტით. მან ვერ ნახა ბაზრის კვლევის დოკუმენტი, ექსპერტებს სთხოვა დაეზუსტებინათ თუ ნახეს და რა სურათია წარმოდგენილი. პროგრამას არ აქვს პრაქტიკა, შესაბამისად, მისთვის გაუგებარია თუ როგორ იზომება შედეგ: „ნაცნობ და უცნობ, მათ შორის ინტერდისციპლინურ და ინტერ კულტურულ გარემოში დროისა და შრომის ორგანიზება“. ასევე სთხოვა დაწესებულებას ესაუბრათ სწავლის შედეგების შეფასების შესახებ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დარეჯან გარდავაძემ, განაცხადა, რომ გარკვეული ტიპის დოკუმენტაცია, რაც ვერ მოიძიეს პირველად მასალაში არც ექსპერტთა ჯგუფთან იყო წარმოდგენილი და ვიზიტამდე მოითხოვეს.
ექსპერტმა, მიხეილ ბიჭიამ, განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს Turnitin-ის პროგრამა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ექსპერტთა ჯგუფმა ამ მიმართულებითაც ნახეს გარკვეული საკითხების დაზუსტების საჭიროება, დარეგულირება თუ როგორ გამოიყენებენ, ვინ არის პასუხისმგებელი პირი და სხვა. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა გარკვეული დოკუმენტაცია, რომელთა ნაწილი მიიღეს და ნაწილი არ მიუღიათ, თუმცა რაც მიიღეს იქიდან გამომდინარე იმსჯელეს და დაწერეს დასკვნა. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის შესახებ, მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმაც მოითხოვა, ან სილაბუსის, ან ინსტრუქციის მიწოდება

დაწესებულებისგან, რომელიც დეტალურად მოაწესრიგებდა აღნიშნულ საკითხებს, მიაწოდეს ე.წ. საკვალიფიკაციო ნაშრომის დებულება, რომელიც იდენტიფიცირების თვალსაზრისით შესაძლებელია რთული გასარკვევი ყოფილიყო თუ რა სახის აქტთან ჰქონდათ საქმე. ამავე დროს ეს მნიშვნელოვანია სტუდენტთან, რათა დადგინდეს უშუალოდ, კონკრეტული საკითხები საბაკალავრო ნაშრომის აგებასთან დაკავშირებით, თუმცა არც ეს და არც საბაკალავრო ნაშრომის სწავლების დებულება შეიცავს დეტალურ ინფორმაციას, თუ როგორ უნდა შეადგინონ ნაშრომი. ხელმძღვანელობის შესახებ განმარტა, რომ თვითონ პროგრამის ხელმძღვანელმა რამდენიმე დაზუსტების შემდეგ განმარტა, რომ ყველა ნაშრომს თვითონ ხელმძღვანელობს, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო მის პასუხს. ამასთანავე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო 5-5 ნაშრომი სამივე მიმართულებიდან და ყველას ნამდვილად ხელმძღვანელობდა პროგრამის ხელმძღვანელი. მისი მოსაზრებით, პროგრამის ინდივიდუალური ხედვები გათვალისწინებული იყო, პროგრამა 2012 წლიდან ფუნქციონირებს და პროგრესს განიცდის. შესაბამისად, მზარდია ხარისხობრივი მაჩვენებელი, გულისხმობს არა მხოლოდ აღმოსავლეთმცოდნეობის, არამედ ახლო აღმოსავლეთის რეგიონებთან ერთიანობაში სწავლებას, აქამდე მოქმედ პროგრამას ჰყავს კურსდამთავრებულები, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს, თუმცა კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულები არიან, რომლებიც საქმდებიან უპრობლემოდ, რაც პროგრამის ხარისხობრივი შეფასებისთვის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია.

საბჭოს წევრი, ეკატერინე შაკიაშვილი, დაინტერესდა თუ ნახა ექსპერტთა ჯგუფმა კონკრეტულად ბაზრის კვლევის დოკუმენტი, შედეგების შეფასება და თუ აქვთ ანალოგიური პროგრამები.

18:00 საათზე საბჭო დატოვა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორმა**,** თინათინ ღუდუშაურმა, განაცხადა, რომ განხილული აქვთ ანალოგიური პროგრამები სამაგიდო კვლევისათვის, ბაზრის კვლევის დოკუმენტი გაკეთებულია და წესით გადაგზავნილი უნდა ყოფილიყო, რადგან ეს დოკუმენტები თავმოყრილი იყო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დარეჯან გარდავაძემ, განმარტა, რომ თვითშეფასებაში წარმოდგენილია ანალოგი პროგრამების ანალიზიცა და ბაზრის კვლევის დოკუმენტაციაც და არ არის ცალკე დოკუმენტად. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშია წარმოდგენილი, რომ ანალოგი პროგრამები რეალურად სასურველია ახალი პროფილით შერჩეულიყო.

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორმა**,** თინათინ ღუდუშაურმა, განაცხადა, რომ ვინაიდან კვალიფიკაცია განახლდა განახლებული იქნება ანალოგი პროგრამებიც.

„აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ალექსანდრე ჭულუხაძემ, საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შეიტანეს ცვლილებები, ვინაიდან მათი კურსდამთავრებულების რაოდენობა ძალიან მცირეა ყოველწლიურად, ბოლო წლების განმავლობაში საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა მას მოუწია, თუმცა ითვალისწინებენ ნაშრომის თემასა და მიმართულებას. მათი ინტერესია პირველ რიგში, რომ გაითვალისწინონ სტუდენტის ინტერესი, შემდეგ ექსპერტად დაწესებულება ირჩევს შესაბამისი მიმართულების სპეციალისტს, აკადემიურ კადრს ან მოწვეულ სპეციალისტს, რომელიც პროგრამის განხორციელებაში იღებს მონაწილეობას. მან განმარტა, რომ თუ სხვა მიმართულების სტუდენტის ხელმძღვანელი იყო, ის მხოლოდ ზოგად საკითხებში ეხმარებოდა მას, დანარჩენ საკითხებზე ექსპერტი აძლევდა მიმართულებას. ამ მიმართულებით შეიტანეს ცვლილება და განსაზღვრეს რომ უნდა დაემატოს კიდევ ერთი კომპონენტი, თანახელმძღვანელი ან რეცენზენტი და პროგრამის ხელმძღვანელი აღარ მიიღებს მონაწილეობას ნაშრომის შეფასებაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ რაღაც დოკუმენტების გადაგზავნა-არ გადაგზავნა წარმოების ყველაზე დიდი სირთულეა, რადგან უამრავ პროგრამას აგზავნიან, ადგილზე ექსპერტები ითხოვენ და რასაც

ითხოვენ შემდეგ ამასაც უგზავნიან. მისი მოსაზრებით ჩამოთვლილი დოკუმენტაცია არ იქნებოდა წინასწარ გამოგზავნილ ფაილში, რადგან არ არის აკრედიტაციის პროცესისთვის სავალდებულო დოკუმენტები, თვითშეფასების დოკუმენტების გრაფაში, მაგრამ ვიზიტზე არის წარმოების შესაბამისად მოთხოვნის შესაძლებლობა, როდესაც მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი გადაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფს. მისთვის გაუგებარია ექსპერტის ნათქვამი, რომ რაღაც დოკუმენტები არ მიუღია, რადგან გადაამოწმეს და ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი გაგზავნილია. დაწესებულებას არ აქვს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, მსგავსი ტიპის კომპონენტებთან მიმართებით ზოგადად არ აქვთ სილაბუსი და არც ექნებათ, ეს არის უტოპია, რომ სილაბუსის სახით მოთხოვონ ის, რაც განუხორციელებელია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დარეჯან გარდავაძემ, განმარტა, რომ ექპერტთა ჯგუფს არ მოუთხოვია სილაბუსი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ ეს ყველაფერი გაწერილია საბაკალავრო დებულებაში და ნახსენები იყო თვითშეფასების დოკუმენტშიც, რომელიც საბაკალავრო დებულების დანართია, რაზეც ვიზიტის დროსაც ისაუბრეს. ეს პრაქტიკა ბევრი წელია ხორციელდება და აკრედიტაცია, ავტორიზაციასა და უცხოელი ექსპერტსაც კი არ ჰქონია პრობლემა. რაც შეეხება ერთი ლექტორის საკითხს, ეს იყო უზუსტობა და მიაჩნიათ რომ მარტივად მოგვარებადი პროცესია. მოხდება განმახორციელებელი პერსონალის ჩართვა, ის თემები რაც დაგროვდა, ძირითადად მიესადაგებოდა იმ სფეროს, რომელსაც პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია ფარავს, მაგრამ გაიზიარეს აღნიშნული საკითხი, რადგან მათი იდეა უკეთესი და განვითარებაზე იყო ორიენტირებული.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, განაცხადა, რომ მას არ მოუთხოვია არცერთი ისეთი დოკუმენტაცია, რაც არ არის თვითშეფასების დოკუმენტაციაში, მოთხოვნილია შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების ანალიზის მოთხოვნების ანალიზი და თვითშეფასებაში მოცემული კურსდამთავრებულთა ანალიზი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ შესაძლებელია გრაფაში ტექნიკურად არის გამორჩენილი, მაგრამ აღწერილია და შედეგების ნაწილში მოცემულია.

საბჭოს წევრი, თეა მჭედლური, დაინტერესდა საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს თუ არა სასწავლო კომპონენტს და რატომ თვლიან, რომ უტოპიაა მისთვის სილაბუსის გაკეთება. ასევე დაინტერესდა, მისი გაფორმების წესი საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების დებულებაშია გაწერილი, მაგრამ სად არის გაწერილი მისი შეფასების წესი და სხვა აუცილებელი პირობები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის წერისას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ საბაკალავრო დებულებაში გაწერილია როგორც პროცედურული მხარე, ასევე შეფასებითი ნაწილი, როგორ და რა კრიტერიუმებით ხდება მისი შეფასება, დანართში კი დაწვრილებით მითითებულია როდის და რა შემთხვევაში უნდა მოხდეს სტუდენტის შეფასება. უტოპიას ეძახის, რადგან ის, რასაც სტანდარტულად სილაბუსს ეძახიან, მოიცავს სავალდებულო/დამატებით ლიტერატურას, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ შედეგებს, მეთოდოლოგიურ მხარეს და ა.შ.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, დააზუსტა გადის თუ არა საბაკალავრო ნაშრომი შედეგებზე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა დაადასტურა, რომ საბაკალავრო ნაშრომი გადის შედეგებზე. შინაარსობრივად შედეგის დაკონკრეტება რთულია, ზოგადი მიზნები ცნობილია, კომპეტენციების რუკაშიც საშუალოდ რა კომპლექსური უნარები უნდა განუვითაროს საბაკალავრო ნაშრომმა, ცნობილია მისი მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე, მაგრამ მათთვის გაუგებარია როგორ შეიძლება დაამკვიდრონ ზოგიერთი ისეთი ელემენტი, რომელიც ჩვეულებრივი სილაბუსის შემთხვევაში შესაძლებელია. ჩვეულებრივი სილაბუსის შემთხვევაში ცნობილია რა სავალდებულო ლიტერატურით შეიძლება კონკრეტული კვირის კონკრეტული თემის დამუშავება, მეთოდის

განსაზღვრა, საბაკალავრო ნაშრომი კი - თავისი აბსტრაქტულებიდან გამომდინარე ამის საშუალებას არ იძლევა.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, დააზუსტა სთავაზობენ თუ არა წინასწარ საბაკალავრო ნაშრომის თემატიკას.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ არ უთქვამთ აღნიშნული.
ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორმა,თინათინ ღუდუშაურმა, დასძინა, რომ საბაკალავრო ნაშრომი გადის 3 ეტაპს: კონცეფციის წარდგენა, წინასწარი დაცვა და საბოლოო დაცვა, ამ ეტაპების კომპონენტები გაწერილია დაწვრილებით
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ დებულებაში გაწერილია საბაკალავრო ნაშრომების შეფასებები, დაინტერესდა გაწერილი არის თუ არა საკონტაქტო საათები.
ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორმა, თინათინ ღუდუშაურმა, განაცხადა, რომ ხელმძღვანელთან შეხვედრებიც გაწერილია, კვირაში ერთხელ მაინც უნდა შეხვდეს, იღებს დავალებას, უგზავნის ხელმძღვანელს და იღებს უკუკავშირს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:38
დასრულების დრო: 19:22

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის კომპონენტი 1.2, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; კომპონენტი 2.4, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით აკრედიტაცია, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენისა და ერთი წელს თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
1. რეკომენდებულია, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, მიზნებში (და შემდეგ უკვე მათგან გამომდინარე შედეგებში) ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სწავლებაში ისეთი ასპექტები გამოიყოს და წინ წამოიწიოს, როგორიცაა რეგიონის პოლიტიკური გეოგრაფია, პოლიტოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ასპექტები, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები და საერთაშორისო პოლიტიკა, ახლო აღმოსავლეთის რეგიონული და საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ტერორიზმი და საერთაშორისო უსაფრთხოება....
2. რეკომენდირებულია პროგრამის მიზნებში გათვალისწინებული იყოს ბაზრის მოთხოვნები და ტენდენციები;

3. რეკომენდირებულია, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, შედეგებში (ისევე, როგორც მიზნებში) გამოკვეთილად აისახოს გლობალური პოლიტიკა და რეგიონის პოლიტიკური გეოგრაფია, პოლიტოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ასპექტები, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები და საერთაშორისო პოლიტიკა, ახლო აღმოსავლეთის რეგიონული და საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ტერორიზმი და საერთაშორისო უსაფრთხოება...

4. რეკომენდირებულია შემუშავდეს პროგრამის სამიზნე ნიშნულები;

5. რეკომენდებულია, პროგრამის ინტერდისციპლინური სფერო: სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა პროგრამის სტრუქტურაში შესაბამისი ძირითადი სფეროს სასწავლო კომპონენტებით/დისციპლინებით იყოს გაძლიერებული;

6. პროგრამის მიზნების, შედეგების და საბაკალავრო ნაშრომის სავალდებულობის გათვალისწინებით რეკომენდირებულია შეიქმნას საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, რომელშიც ასახული უნდა იყოს: სასწავლო კურსის მიზანი, შედეგები, შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები და ასევე ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც ითვალისწინებს სილაბუსის საუნივერსიტეტო სტანდარტი;

7. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის („ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფია“, „ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილება და სამართალი“) სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის სიიდან იმ ნაშრომის ამოღება, რომელიც ასახსნელი თემატური მასალის მოსამზადებლად არ გამოიყენება; ასევე, მიზანშეწონილია, „ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის“ სილაბუსის შინაარსი უფრო მეტად იყოს ორიენტირებული სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის პრობლემატიკაზე;

8. მიზანშეწონილია, როგორც პროგრამის, ისე ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში შედეგების ფორმულირების თვალსაზრისით იყოს ერთგვაროვანი მიდგომები და პროგრამა ყველგან მისდევდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელმძღვანელო დოკუმენტებსა (ECTS სახელმძღვანელო) და ბლუმის ტაქსონომიით რეკომენდებული ზმნებით (აწმყო დროში, აქტიური ზმნების პირიანი ფორმებით) შედეგების გაწერას. ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგ., „ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფია“, „შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში“) სწავლის შედეგებმა, რეკომენდებულია, უფრო მეტად დარგობრივი კომპეტენციები ასახოს, „უნარებისა“ და „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ ფარგლებში კი შესატყვისი სწავლის შედეგები მიეთითოს; ასევე, მიზანშეწონილია, „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის“ სილაბუსში სწავლის შედეგებში, გარდა „უნარებისა“, „ცოდნა-გაცნობიერების“ კომპეტენციაც ნათლად ჩანდეს;

9. რეკომენდირებულია, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი არ იყოს მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელი, არამედ პროგრამის განმახორციელებელი სხვადასხვა მიმართულების აკადემიური და მოწვეული პერსონალი;

10. რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის წესი დაიხვეწოს და არსებულმა დოკუმენტმა მოიცვას როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი მოთხოვნების შესახებ აუცილებელი ინფორმაცია სრულად; ასევე, დასახვეწია საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტების მექანიზმი ნაშრომის შეფასებისას სამართლიანობისა და ობიექტურობის უფრო მეტად უზრუნველსაყოფად ისე, რომ საბჭოს შემადგენლობაში ნახევარი ან ნახევარზე მეტი არ იყოს ნაშრომის ხელმძღვანელი, ექსპერტი და თანახელმძღვანელი;

11. რეკომენდებულია ცალკეულ სილაბუსებში გაიწეროს შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;

12. რეკომენდებულია, რომ წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტმა გააქტიუროს მუშაობა როგორც სასწავლო პროცესის, ისე კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით;

13. რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად ჩაერთოს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებში, რაშიც, სასურველია, უსდ-მ მეტად შეუწყოს მათ ხელი;
14. მიზანშეწონილია, შედგეს გამოკითხვების ანალიზის ანგარიშებზე რეაგირება, ნებისმიერი მნიშვნელოვან შედეგზე ორიენტირებული მოქმედება (მათ შორის პროგრამის განხილვა, თვითშეფასების ჯგუფის მუშაობა) პროცედურულად აისახოს ოფიციალური წესით (მინიმუმ ოქმის სახით მაინც) შინაარსობრივი და ფორმალური მოთხოვნების დაცვის მიზნით; ასევე, რეკომენდებულია, გამოკითხვის კითხვარები შეიცავდეს სრული ინფორმაციას მოწვეული ლექტორების საჭიროებების შესახებაც;
15. რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის ღონისძიებები აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის შინაარსობრივი მხარის სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ახალ მოთხოვნებთან უფრო მეტად თავსებადობის, საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცედურული თუ შინაარსობრივი საკითხების გადამუშავების, პრაქტიკაში ხარისხის შიდა რეგულაციების სრული დაცვის, სილაბუსების დახვეწის, პროგრამის განვითარების მიზნით პრობლემების დადგენა-იდენტიფიცირებაზე ორიენტირებული კვლევების ჩატარების მიმართულებით.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე და 33-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა 7 წლის ვადით აკრედიტაცია, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენისა და ერთი წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა Public Administratrion
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	13.09.2012 გადაწყვეტილება №379
5		საჯარო მმართველობა

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის ბაკალავრი Bachelor of Public Administratrion
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413 Management and Administration
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 113 უნივერსიტეტის I კორპუსი, საქართველო 0800
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მესამე სტანდარტი კი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა მაჭარაშვილმა, განაცხადა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა Zoom-ის მეშვეობით.
პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:
· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესახებ. პირველი რეკომენდაციის თანახმად რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტი ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას გაცილებით მეტი სისტემურობითა და სრულყოფილებით აწარმოებდეს, რათა დეტალური იყოს საჯარო მმართველობის ბაკალავრის კვალიფიკაციის კურსდამთავრებულთა მიმართ არსებული მოთხოვნები. მნიშვნელოვანია მონაცემების მართვა/დამუშავება, შესაბამისად, სასწავლო პროცესისა და კვლევის განხორციელების ადეკვატური მართვა. ამ მხრივ, მწირი ინფორმაცია იყო მიწოდებული ანგარიშების კუთხით და ზოგადად მონაცემების მართვის კუთხით არის ჩავარდნები, რაც უნდა გაუმჯობესდეს; აღსანიშნავია, დაწესებულებას, როგორც რეგიონული უნივერსიტეტს, საკმაოდ დიდი რესურსი აქვს და იმას, რომ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციით, განსაკუთრებით საჯარო მმართველობის მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი მისია აკისრია, რაც გაცნობიერებულია და ამავე დროს საკმაოდ დიდი პროცენტული წილი ეთნიკური უმცირესობების, საჯარო სექტორში საქმდება, ან საჯარო სექტორის კვლევის წარმოებით არის დაკავებულნი. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ ყურადღება გაამახვილა პროგრამის მიზნებზე, რომლებიც ეხება პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, ხშირ შემთხვევაში არსებობს ბევრი კითხვა, აღნიშნულ შედეგებზე გასვლის თვალსაზრისით, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფისთვის დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა ის ფორმები, რომლითაც იმართება პროცესი, ხშირ შემთხვევაში არაერთგვაროვანი ანგარიშის ფორმების წარმოდგენით, რომელიც ბადებს კითხვას, თუ რამდენად აქვს რესურსი, იმ თვალსაზრისით, რომ სწავლის შედეგები პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის ნაწილში დაიფაროს, ამავე დროს ექსპერტთა ჯგუფმა ნახა, რომ მართვადია, მაგრამ ხშირად არის ერთიდაიგივე უწყებაზე ან პრაქტიკის ობიექტზე გასვლის ალბათობა და, შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, რომ გაცილებით ადეკვატურად ყოფილიყო მართული და გადანაწილებული პრაქტიკის ობიექტები, რათა არ მომხდარიყო სერიოზული ზეწოლა ერთ ან ორ ადგილობრივ/საჯარო ან არასამთავრობო ორგანიზაციაზე.

სწავლა-სწავლების მეთოდებში არის სერიოზული აღრევა და უნივერსიტეტმა უფრო მეტად უნდა გაშალოს ეს თემა. მან სწავლის შედეგებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აუცილებელია პროგრამაში საჯარო მმართველობის მიმართულების ცალკე მოდულად გამოყოფა, რადგან პროგრამა ანიჭებს საჯარო მმართველობის ბაკალავრის კვალიფიკაციას. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო მმართველობის სამართლებრივი, ეკონომიკური, მენეჯერული და ამავე დროს სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი დაფარულია, უშუალოდ საჯარო მმართველობის მიმართულება არ გამოიყურება საფუძვლიანად, უნდა აღმოჩნდეს შესაბამისი მიზნების-შედეგების ადეკვატური. ასევე, მნიშვნელოვანია რიგი კურსების დამატება, ამავე დროს, როდესაც საუბარია საჯარო მმართველობის თეორიულ-კონცეპტუალური ნაწილის დაძლევაზე და ამ შემთხევაში გააჩნიათ შესაბამისი მიზნები. კონკრეტული ავტორები უნდა იყოს ადეკვატური, რომელიც განსახილველ პროგრამაში დააკლდათ. საჭიროა მეტი აქცენტი თვისებრივი კვლევის მეთოდებზე, მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივი კვლევის მეთოდები დაძლეულია. ექსპერტთა ჯგუფს ზოგადად აქვს სურვილი, რომ რიგ კურსებთან მიმართებით კონტრიბუცია, სასწავლო მასალების სახით იყოს რელევანტური, ზოგჯერ ნაკლებად დაძლევადია და არაადეკვატურია კრედიტებთან მიმართებით. იმ კურსებთან, სადაც გვერდების რაოდენობა არ იყო მითითებული გაანალიზების შესაძლებლობა არ ჰქონდათ, მაგრამ გაჩნდა კითხვები და, შესაბამისად, გათვალისწინებული იყო რეკომენდაციის ნაწილში. მნიშვნელოვანია, საჯარო მმართველობის თემატიკებზე აქცენტირება, მხოლოდ სამართლებრივი, მენეჯერული, ეკონომიკური ან სოციალურ-პოლიტიკური რაკურსი საკმარისი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ დარგი ზოგადად ახალია და საქართველოში განვითარებას საჭიროებს, რეალურად უნდა იყოს მეტი რაკურსი. ადამიანური რესურსების შესახებ განაცხადა, რომ 4.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან საჯარო მმართველობის კვალიფიკაციის მქონე კადრების ნაკლებობა და აქვე, გაუმჯობესების პერსპექტივა ამ მიმართულებით კვლევებისა და შესაბამისი მხარდამჭერი ინსტრუმენტების, რომელიც კვლევის თვალსაზრისით შესაბამისი მონაცემების კიდევ უფრო გაუმჯობესების პერსპექტივებს ბადებს, ამიტომ აქ რეალურად ჩნდება ანალოგიური სახის გაუმჯობესების შესაძლებლობები. შეფასების სისტემები არის დასახვეწი იმ გაგებით, რომ ხშირად კურსების შეფასების ნაწილში არის უნიფიცირებული მიდგომა, ერთიდაიგივე ინსტრუმენტებით მართული, მიუხედავად იმისა, რომ კურსების შინაარსი, მიზნები, ამოცანები და თუნდაც შედეგები შესაძლებელია კურსების მიხედვით იყოს საკმაოდ განსხვავებული. ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების მექანიზმი გაიმიჯნოს კოლეგიალური შეფასებისგან, აკრედიტაციისას გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად გადადგმული რელევანტური ღონისძიებები კი სრულად აისახოს თვითშეფასების ანგარიშში. ასევე, რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის ღონისძიებები სასწავლო კურსების დახვეწის, სასწავლო პროცესის განვითარების, საწარმოო პრაქტიკის შესრულების, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის, პრაქტიკული კომპონენტის გაზრდისა და სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფს პოზიტიური გარემო დახვდა ადგილზე, პროგრამა 2012 წლიდან ფუნქციონირებს, საკმაოდ კარგი რესურსია რეგიონული პერსპექტივითა და ეთნიკური უმცირესობებისთვის, რათა ადგილზე მოამზადოს შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანები, გააძლიეროს საჯარო სექტორი და არასამთავრობო სექტორი, რომელიც ფოკუსირებულია საჯარო სექტორის ხარისხის ზრდაზე. წარმოდგენილი რეკომენდაციები სრულად გაიზიარა დაწესებულებამ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო მილაშვილმა, აღნიშნა, რომ საკმაოდ აკადემიურ გარემოში ითანამშრომლეს ექსპერტთა ჯგუფთან, რომლის თავმჯდომარე ცდილობდა უფრო მეტი ინფორმაცია მიეღო და უკეთ

დაენახა პროგრამა, დამატებით გამოითხოვა დოკუმენტებიც, რომლებიც დაწესებულებამ გადასცა. ცალსახაა, რომ თითოეული რჩევა/რეკომენდაცია მიმართულია პროგრამის გაუმჯობესებისკენ. შესაბამისად, დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს და დაიწყეს მუშაობა რეკომენდაციების შესასრულებლად.

„საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით ხობელიამ, განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ მიგნებებში ნახეს და დაიწყეს მუშაობა, მაგ., პრაქტიკის ობიექტებთან დაკავშირებით იყო პრობლემა, არსებულ მემორანდუმებს გაუვიდა ვადა, ახლებს ვერ დებდნენ და ჰქონდათ ერთ მუნიციპალიტეტთან. ამჟამად გაზრდილია პრაქტიკის გავლის ობიექტები, ამასთანავე იძიებენ სხვა პრაქტიკის ობიექტებს, რათა არ მოხდეს პრაქტიკის გამვლელი სტუდენტების ერთ ადგილას კონცენტრირება. მაისში მიმართეს აკადემიურ საბჭოს და გამოაცხადეს კონკურსი აკადემიურ თანამდებობაზე, სჭირდებათ შესაბამისი დარგის დოქტორი. ამასთანავე, სექტემბრიდან იგეგმება სამართლის ორი მოწვეული ლექტორის დამატება. გარდა ამისა, როდესაც გაიმართა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, მოდულის სახით გამოყოფაზე იქვე დათანხმდნენ და მიმდინარეობს მუშაობა. რეკომენდაციების მიღების შემდეგ კი ისინი მუშა რეჟიმშია. მისი მოსაზრებით, ყველა რეკომენდაცია მისაღებია დაწესებულებისთვის და დაძლევადია. ლიტერატურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ერთ-ერთ სასწავლო კურსში 2016 წლის ლიტერატურა იყო ბოლო, თუმცა დაწესებულებამ ვიზიტის დღესვე შეისყიდა და ჩამოიტანა 2022 წლის სახელმძღვანელო, რომელსაც წინასწარ ვერ ჩადებდნენ სილაბუსში. მისი მოსაზრებით, დაძლევენ და გაითვალისწინებენ ყველა რეკომენდაციას, რიგი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. პრაქტიკის ობიექტებთან დაკავშირებით განმარტა, რომ 6 მუნიციპალიტეტი არ ნიშნავს მხოლოდ 6 ადგილს, მინიმუმ, როდესაც საუბარია მერიაზე ეს არის 13 სამსახური, სადაც სტუდენტს შეუძლია პრაქტიკის გავლა მოაზრება 6 ადგილი მერიაში, 6 საკრებულოში, გუბერნია და ის არასამთავრობო ორგანიზაციები/კერძო პირები, სადაც შესაძლებელი იქნება პრაქტიკის გავლა, ამ მხრივ დაწესებულება პრობლემას ვერ ხედავს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა მაჭარაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც ვიზიტის პროცესში იყო, მას შემდეგ გამოსწორებული ხარვეზებს/რეკომენდაციებს ექსპერტთა ჯგუფი მხედველობაში ვერ მიიღებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, თუ რა სახის ღონისძიებები ტარდება აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში ხელშეწყობის მიზნით, თუ არის რაიმე წამახალისებელი მექანიზმი ამ თვალსაზრისით (ფულადი პრემია, გრანტი და ა.შ.).

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ პროგრამის სასწავლო გეგმისა და ცალკეული სილაბუსების გაცნობა ერთი შეხედვით ქმნის შთაბეჭდილებას, რომ პროგრამაში დაფარულია ეკონომიკური მოდული, თუმცა დაინტერესდა თუ როგორ არის წარმოდგენილი, რამდენად მისცემს, შემდეგში საჯარო მოხელეს, რომელიც შესაძლებელია მუნიციპალიტეტში დასაქმდეს, შესაძლებლობას რომ სახელმწიფო მართვის ან მუნიციპალური მართვის სფეროში მიიღოს გადაწყვეტილებები იმ ეკონომიკური ან მენეჯმენტის ცოდნით, რომელსაც ამ სასწავლო კურსებით შეიძენს. მაგ., „სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლებში“ სწავლობს ფირმის კონკურენტუნარიანობის სტრატეგიას, დაინტერესდა თუ რამდენად შესაძლებელია აღნიშნული ქალაქის მეურვეობის მართვისას გამოადგეს, „ადამიანური რესურსების მენეჯმენტში“ სწავლობს ისეთ საკითხებს, ისეთი ლიტერატურით, რამდენად რელევანტურია საკადრო პოლიტიკა მუნიციპალურ დონეზე რომ განახორციელოს, იგივე შეიძლება მენეჯმენტის სილაბუსზე ითქვას. ფორმალურად, ისეთი სასწავლო კურსებია შეტანილი, რომ დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით უნდა იყოს მაგრამ კონტენტი რამდენად შეუწყობს ხელს, რამდენად მისცემს საჯარო მოხელეს რელევანტურ ცოდნას. „მენეჯმენტის საფუძვლები“, „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“, სასწავლო კურსები, რომლებიც პრაქტიკულ უნარებზე გადის.

საბჭოს წევრი ყურადღებით გაეცნო თემატიკასაც, შეფასების მეთოდსაც და კითხვითი ნიშნები გაუჩნდა. შესაბამისად, სთხოვა ესაუბრათ აღნიშნულ საკითხზე, თუ როგორ არის შესაძლებელი პრაქტიკულ უნარების შეფასება წერითი და ზეპირი გამოკითხვით, მითუმეტეს ღია და დახურული ტესტით, რა გარანტია აქვს პროგრამის ჯგუფს, რომ ნამდვილად შეძლებს სტუდენტი მიიღოს გადაწყვეტილებები, სწორად შეარჩიოს კადრები, შეიმუშაოს სტრატეგია, მიიღოს გადაწყვეტილებები ორგანიზაციის განვითარებისთვის მიმართულებით დახურული ტესტების მეშვეობით, რადგან ქეისები, სიმულაციური თამაშები, როლური თამაშები არ არის სწავლების მეთოდებში. მისი განცხადებით, მნიშვნელოვანია რეფორმები, დაინტერესდა, თუ სად იფარება ორგანიზაციული ცვლილება, ან სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სისტემა, არა სამართლებრივი ასპექტით, არამედ ეკონომიკური ასპექტით, ქალაქის მეურნეობის მართვა და ა.შ. მნიშვნელოვანი საკითხები სად იფარება, რადგან ეკონომიკური ბლოკი ამას ვერ ფარავს.

პროფესორმა, ცისკარა ზარანდიამ, განაცხადა, რომ ეკონომიკური/მენეჯმენტის მიმართულების შესახებ ნამდვილად სწორი აქცენტები დასვა საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, თუმცა პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსები: „საჯარო ფინანსების“, „აღრიცხვა საჯარო დაწესებულებებში“, „მენეჯმენტის საფუძვლები“, „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ და რამდენიმე არჩევითი სასწავლო კურსი. რაც შეეხება, შეფასების მეთოდებს, შეიძლება სილაბუსებში არ ჩანს, მაგრამ ქეისების, სიტუაციური და როლური თამაშების მეთოდების გამოიყენება, თუმცა დაწესებულება გამოხატავს სრულ მზაობას რეკომენდაციებისა და საბჭოს სხდომაზე გაჟღერებული შენიშვნების გასათვალისწინებლად, რადგან ეს ყველაფერი ემსახურება პროგრამის განვითარებას. პროფესორ მასწავლებლების შეფასების შესახებ განმარტა, რომ უნივერსიტეტში არსებობს მექანიზმი, რომელიც აფასებს აკადემიური პერსონალის მიერ გაწეულ სამუშაოს, წლების მანძილზე მუშავდება და იხვეწება აღნიშნული სისტემა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ნინო მილაშვილის განცხადებით, უნივერსიტეტში აკადემიური პროდუქტიულობის შეფასება ხდებოდა ყოველწლიურად, მაგრამ ავტორიზაციამდე აკადემიურ პერსონალს აფასებდნენ ქულების საშუალებით. ავტორიზაციის პროცესში უცხოელმა ექსპერტმა მისცა რეკომენდაცია, რომ პერსონალის შეფასება მომხდარიყო საათების საშუალებით, პერსონალის შეფასების მთლიანი სისტემა შეცვალეს, შეიმუშავეს ახალი წესი, განხილვა იყო საჯარო, ყველა დაინტერესებულმა პირმა გამოხატა თავისი მოსაზრება, მიიღეს საბოლოო ფორმა, მთელი წლის განმავლობაში აკადემიურმა პერსონალმა, პირობითად, 1800 საათი უნდა დაფაროს, სადაც გამოჩნდება მისი სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის საათები, ლექციების მომზადების, შუალედური გამოცდების და ა.შ., რაც პედაგოგს სჭირდება, სილაბუსის განვითარება, მისი სხვადასხვა აქტივობა და საათების გარკვეული წილი დათმობილი აქვს საათობრივ მაჩვენებელს. ცხადია ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევით არ დაწერა აღნიშნული რეკომენდაცია, რადგან მას თავიდან არ ჰქონდა მიღებული ყველა ზემოაღნიშნული კვლევა, ვიზიტის პერიოდში მან მოითხოვა და გადასცეს აღნიშნული კვლევები, მაგრამ საუბრის დროს ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ძალიან კარგი რჩევა მისცა, რომ თუ უფრო სიღრმისეული იქნებოდა აღნიშნული კვლევა უფრო მეტად წაადგებოდა უნივერსიტეტს. შესაბამისად, კვლევები/გამოცდილება აქვთ, თუმცა მიღებულია რჩევა მათი სხვა ფორმით წარმოჩენის შესახებ. მისი მოსაზრებით, ექსპერტთა ჯგუფმაც დაინახა, რომ იყო პერსონალი, რომელსაც ძალიან მაღალი აქტივობა ჰქონდა, მაგრამ იყო რამდენიმე პედაგოგი, რომელსაც 2-3 წელი სერიოზული აქტივობა არ ჰქონია. შესაბამისად, ექსპერტები გულისხმობდნენ, თუ რა მექანიზმები განხორციელდა იმ პროფესორების მიმართ, ვინც ნაკლებად არის ჩართული კვლევით პროცესში.

საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ თუ რა სახის ღონისძიებები ტარდება აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში ხელშეწყობის მიზნით, თუ არის რაიმე წამახალისებელი მექანიზმი, გულადი პრემია, გრანტი და ა.შ.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო მილაშვილმა, განაცხადა, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალი ინფორმირებულია, სასწავლო პროექტების კუთხით Erasmus+-ის ძალიან ბევრი პროექტი აქვთ, როგორც დამთავრებული, ასევე მიმდინარე. ამ ეტაპზე დაიმატეს ძალიან კარგი პროექტი, რომელშიც ჩართულია არა მხოლოდ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, არამედ დოქტორანტებიც, ანუ ხდება ორი (საბაკალავრო და სამაგისტრო) ონლაინ კურსის შემუშავება, აკადემიური პერსონალი გაგზავნილი იყო ესტონეთში, მიიღეს გარკვეული გამოცდილება და უნივერსიტეტშიც დაინერგა ტრენინგები, სხვა პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაიმატეს შპს-ევროპის უნივერსიტეტთან და სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან ერთად Erasmus+-ის ძალიან კარგი პროექტი, სადაც 205000 ევროს ფარგლებში პირდებიან დაფინანსებას და დაწესებულების მოსაზრებებია ნაჩვენები თუ რა კუთხით სჭირდება ინსტიტუციას განვითარება. გარდა ამისა, არის კვლევითი პროექტებიც, „საჯარო მმართველობის“ პერსონალს აქვს გარკვეული ჩართულობა, ზოგიერთი მათგანი სხვა უნივერსიტეტშიც კითხულობს და სხვა ჟურნალებშიც აქვთ გამოქვეყნებული, მაგრამ ძირითადად ერთ ჟურნალში ტრიალებს მონაცემები. წამახალისებელი ღონისძიებების შესახებ განაცხადა, რომ აქვთ ხელშემწყობი მექანიზმები, რაც წესდებაშიც არის ასახული. პერსონალის შეფასებაში 2 წელიწადში ერთხელ სავალდებულო მოთხოვნად აქვთ Impact ფაქტორიან ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება, თუ Impact ფაქტორიანი ჟურნალი დაფინანსებას მოითხოვს 50%-იანი თანამონაწილეობით უფინანსებს უნივერსიტეტი, მთავარია პერსონალის მხრიდანაც იყოს აქტივობა. გარდა ამისა აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს დაწესებულება თვითონ უბეჭდავს მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს თუ სჭირდებათ ამ კუთხით დახმარება. შესაბამისად, ხელშემწყობი მექანიზმები ნამდვილად არ აკლიათ. ამასთანავე, ნებისმიერი სიახლე ტრენინგებთან, საჯარო ლექციებთან, კვლევით პროექტებთან დაკავშირებით საჯარო ხდება, ძალიან ბევრი პროექტია შემოსული შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდიდან და აქაც ბევრი პერსონალია ჩართული. მიუხედავად ამისა, კითხვები გაჩნდა, რადგან ყველა თანამშრომელს არ ჰქონდა წარმოდგენილი განახლებული CV და როდესაც დამატებით მოითხოვეს, ზოგიერთი ლექტორის ამონაკრები სასწრაფოდ გააკეთეს და გადაუგზავნეს, სადაც გამოჩნდა პერსონალის აქტივობა, თუმცა უკეთესი იქნებოდა თავიდანვე სრულყოფილად გაგზავნილიყო.
საბჭოს წევრის, თეა მჭედლურის, განცხადებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა ახსენეს, რომ აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვა შეადგენს წელიწადში 1800 საათს, დაინტერესდა არის თუ არა ზემოაღნიშნული 1800 საათი დიფერენცირებული, რამდენია ასისტენტზე, ასოცირებულზე და პროფესორზე. ასევე, დაინტერესდა, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე აკადემიური პერსონალი ვერ შეასრულებს საათების რაოდენობას რა ღონისძიება ტარდება უნივერსიტეტის მხრიდან.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო მილაშვილმა განაცხადა, რომ მარტივი არ იყო ქულების საათებში მოქცევა, 1800 საათი კი აიღეს პირობითად, წელიწადში საკონტაქტო 45 კვირიდან თითოეული კვირის დატვირთვა 8 საათი და ასე მიიღეს 1800 საათი, სადაც პედაგოგის კვირული დატვირთვა გახდა 8 საათი, მანამდე იყო 10 საათი, ამიტომ შეიტანეს ცხრილები პერსონალის დატვირთვის ნაწილში, ასოცირებული პროფესორის იყო 12 საათი, ასისტენტ პროფესორის იყო 14 საათი, ამას ემატებოდა აქტივობები, პროფესორს აკადემიური თავისუფლებაც აქვს მიცემული, პროფესორს 740 საათი ჰქონდა თავის თავზე მუშაობის, რიდერების მომზადება, შუალედური/დასკვნითი გამოცდების საკითხების მომზადება და ა.შ., დანარჩენი მას შეეძლო დაახლოებით 360 საათის განმავლობაში აერჩია რაღაც პედაგოგიური საქმიანობა, რაშიც ითვლებოდა სამივე საფეხურის პროგრამების

ხელმძღვანელობა, სასწავლო პროექტებში ჩართულობა და რაც რჩებოდა 720 საათი ეთმობოდა სამეცნიერო დატვირთვას, უნივერსიტეტში გამორჩეულად კარგი აქტივობა აქვთ ასტრონომებს, მათემატიკოსებს და სხვა.
საბჭოს წევრი, თეა მჭედლური, დაინტერესდა არის თუ არა სავალდებულო, რომ ყველამ შეასრულოს 1800 საათი.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო მილაშვილმა, განაცხადა, რომ სამეცნიერო დატვირთვა აქვთ განსხვავებული ასოცირებულ პროფესორს შედარებით ნაკლები და ასისტენტ პროფესორს უფრო მეტი. მან განმარტა, რომ ვერ შესრულების შემთხვევაში მოქმედი მექანიზმი არ ჩანდა პროგრამაში და სწორედ, აღნიშნული გარემოება გახდა რეკომენდაციის დაწერის საფუძველი, მან განმარტა, რომ როდესაც კვლევა ტარდება, იღებენ შედეგებს, შემდეგ უგზავნიან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და სთხოვენ აღნიშნულის განხილვას ფაკულტეტზე, შესაბამისად საქმის კურსში არიან, როდესაც პირველად გააკეთეს აღნიშნული კვლევა, თითოეულ თანამშრომელს გადაუგზავნეს კვლევის ნცეფცია, რომელიც საკმაოდ ფართო მოცულობის დოკუმენტია, სადაც ჩანს მათი ვალდებულება, მათი აკადემიური თავისუფლება, მათი შეფასების სისტემა და წამახალისებელი ღონისძიებები, შიდა საგრანტო პროექტები, პროექტებში მხარდაჭერა და სხვა, გაგზავნისას სთხოვა პერსონალს, გაცნობოდნენ აღნიშნულ დოკუმენტაციას, შემდეგ ჩაატარა კვლევა, რომელიც ითვალისწინებდა უნივერსიტეტის მხრიდან მხარდაჭერის ასახვას და იცნობდნენ თუ არა ამ მხარდამჭერ ღონისძიებებს, თუ მაჩვნებელი იყო, რომ ვინმე არ იცნობდა მათ განმეორებით გაეგზავნათ კვლევის კონცეფცია და წერილში აღინიშნა, რომ მხარდაჭერა აღწერილია წესდებაშიც, შეახსენეს, რომ უნივერსიტეტის მხრიდან აქვთ სრული მხარდაჭერა, მთავარია მათი გააქტიურება.
ექსპერტმა, მიხეილ ბიჭიამ, სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 2.5 კომპონენტში გაწერილია სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნება, სადაც რამდენიმე სასწავლო კურსი არის დაკონკრეტებული, მათ შორის მოიაზრება ისიც, რომ უფრო მეტად იყოს გამოკვეთილი სხვა მეთოდები, რომლებიც პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე იქნება ორიენტირებული და უნივერსიტეტი იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას. არანაკლებ მნიშვნელოვანია, ის გარემოება, რომ უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული Erasmus+-ის პროგრამაში როგორც ინსტიტუციური განვითარების, ასევე სტუდენტთა მობილობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რაც მნიშვნელოვანია, ასევე ინტერნაციონალიზაციაზე მუშაობის გაძლიერებისთვის და პროგრამაში ჩართულ პერსონალს აძლევს ასეთ შესაძლებლობას, რომ გაიზიაროს და სასწავლო პროცესში დანერგონ ის გამოცდილება, რომელსაც მიიღებენ. პროგრამის ნიშა არის, ის, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობაში და ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია პროგრამის ფუნქციონირების გაგრძელება, მითუმეტეს, როდესაც გადადგმულია ნაბიჯები კადრების შენარჩუნებასა და ახალი კადრების მოზიდვის მიმართულებით. პროგრამაში ჩართული დაინტერესებული პირების გუნდური მუშაობის შესახებ, მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი იყო ერთ მუშტად შეკრული გუნდი, რამდენიმე ხანდაზმულიც კი აქტიურად ოპერირებდა ტექნიკურ საშუალებებთან, რაც დასაფასებელია. ასევე, ჩანდა ჯანსაღი დამოკიდებულება აკრედიტაციის პროცესისადმი, რაც დაეხმარება მათ რეკომენდაციის შესრულებაში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა მაჭარაშვილმა, განაცხადა, რომ დეფიციტი ნამდვილად არის სწორედ საჯარო მმართველობის, ადგილობრივ დონეზე მართვის მიმართულებით, ის ცოდნა, რაც მენეჯერული პერსპექტივით იქმნება არის ზოგადი. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა სწორედ ეს განწყობა, რომ დაწესებულებას უფრო მეტად გაეცნობიერებინა ადგილზე არსებული საჭიროებები, შრომის ბაზრის საჭიროებების განსაზღვრის დონეზე და შემდეგ შეეთავაზებინა რელევანტური რაკურსი, მიუხედავად იმისა, რომ ბაკალავრს ვერ მოსთხოვენ მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობას, მაგრამ სწორედ

განსაზღვროს თუ რა სჭირდება მესამე-მეოთხე დონის საჯარო მოხელესთან მიმართებაში აქცენტები და ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ეს არის მისი უნიკალურობა და არ უნდა დაიკარგოს აღნიშნული პროგრამის ძირითადი არსი.
პროფესორმა, ცისკარა ზარანდიამ, განაცხადა, რომ ნამდვილად სწორი აქცენტები დაისვა, მაგრამ დაწესებულებას ეს ყველაფერი შეთავაზებული აქვს ზოგად სასწავლო კურსებად, სტუდენტები პრინციპების დონეზე სწავლობენ მიკრო/მაკრო ეკონომიკას, მენეჯმენტის საფუძვლებს, ადამიანური რესურსებისა და სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლებს, მაგრამ აქვთ საშუალება არჩევით სასწავლო კურსებში შესთავაზონ, ასევე, შესაძლებელია გაზიარება და ინტეგრირება ეკონომიკისა და ბიზნესის მოდულში.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ ვერ ისაუბრებენ სასწავლო კურსების დამატებაზე, მითუმეტეს არჩევითში, რადგან ის არ ახდენს გავლენას სწავლის შედეგზე. „სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები“ ძალიან კარგია, რომ ისწავლება, მაგრამ ლექტორს მისი აკადემიური თავისუფლების პირობებში შეუძლია ასწავლოს, თუ რა არის სტრატეგიული დაგეგმვა, სტრატეგიული მართვა დაწესებულებებში და გაჩერდეს აქ, ასევე, უმჯობესია ასწავლოს ორგანიზაციული ცვლილებები, რაც შემდეგ სახელმწიფო თუ მუნიციპალური ცვლილებების არსი შეიძლება იყოს, ანუ საკითხი უნდა წარმოადგინოს ორგანიზაციული მენეჯმენტის და არა ფირმის დონეზე, უნდა ასწავლონ ყველაფერი, კომპანიის გარეშე.
პროფესორმა, ცისკარა ზარანდიამ, განაცხადა, რომ ეს არის ბიზნეს ადმინისტრირების საგნები.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დასძინა, რომ ეს არის ადმინისტრირების საგნები და არა ბიზნეს ადმინისტრირების.
პროფესორმა, ცისკარა ზარანდიამ, განაცხადა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე შეიკრიბებოდნენ, მენეჯმენტის მიმართულებით და დასვამდნენ აღნიშნულ საკითხს, რადგან სილაბუსის გადახალისებას არაფერი ეწინააღმდეგება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:02
დასრულების დრო: 21:04

ვინაიდან საბჭოს წევრებს ჰქონდათ დამატებითი კითხვა, შესაბამისად სხდომას დაუბრუნდნენ სათათბირო შესვენებიდან, პასუხების მოსასმენად.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რითი იყო განსხვავებული აღნიშნული პროგრამა სხვა პროგრამებისგან, რეგიონის საჭიროებების შესაბამისად.
„საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით ხობელიამ, განაცხადა, რომ მას არ შეეძლო განსხვავებებზე საუბარი, რადგან არ იცნობდა სხვა, მსგავს პროგრამებს, მათ არ გაუკეთებიათ რაიმე პროგრამების შეჯამება, დამსაქმებლებთან საუბრიდან გამოდიოდნენ, თუ რა სჭირდებოდა მათ. ერთ-ერთი დამსაქმებლის მოთხოვნა იყო რუსული ენა, რადგან აუცილებელია რეგიონიდან გამომდინარე. მისი მოსაზრებით ძირითადი განსხვავება შესაძლებელია იყოს გაძლიერებული სამართლის ბლოკი საჯარო მიმართულების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ შესაძლებელია პროგრამა განსხვავდებოდეს სასწავლო კურსებით, მათი შინაარსითა და სილაბუსებით, სთხოვა ესაუბრათ აღნიშნულ საკითხზე.
„საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით ხობელიამ, განაცხადა, რომ სხვა მსგავს პროგრამებთან არ ჰქონია ურთიერთობა, რომ შეედარებინა სილაბუსები. უბრალოდ, როდესაც დასხდნენ და განიხილეს ახალი პროგრამა, იქ იყო სისხლის და სამოქალაქო სამართლის საკითხები, რაც ამოიღეს, რადგან მათი მოსაზრებით, არ სჭირდებოდა საჯარო მოხელეს. სამართლის ბლოკში წარმოდგენილია ადმინისტრაციული

სამართალი 2 ნაწილად, რაც უფრო რელევანტურია საჯარო მმართველობისთვის, რადგან უფრო მეტად დეტალიზებულ ცოდნას აძლევს, როდესაც ადმინისტრაციული წარმოებაა ასახული და ასევე განსხვავებულია საგნების სპეციფიკა.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მზარდია სტუდენტთა ჩარიცხვის მაჩვენებელი და მოთხოვნაც საკმაოდ მაღალია. შესაბამისად, დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტი ჰყავს პროგრამას ამ ეტაპზე.
„საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით ხობელიამ, განაცხადა, რომ ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 300-350 სტუდენტი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი გრანტიანი სტუდენტი ჰყავთ.
„საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით ხობელიამ, განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა არის მთლიანად სახელმწიფო დოტაციაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეროვნული უმცირესობებიდან ძალიან ბევრი მიდიოდა მეზობელ ქვეყნებში სასწავლებლად, მას და მის მეგობრებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ნდობის მოსაპოვებლად, ამასთანავე უფასო ფაკულტეტმაც მოახდინა გავლენა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:12
დასრულების დრო: 21:16

ვინაიდან საბჭოს წევრებმა ვერ მიიღეს კითხვებზე შესაბამისი პასუხი, მოითხოვეს უნივერსიტეტის რექტორთან გასაუბრება.
საბჭოს თავმჯდომარემ, დაინტერესდა, თუ რითი იყო განსხვავებული აღნიშნული პროგრამა სხვა პროგრამებისგან, რეგიონის საჭიროებების შესაბამისად.
უნივერსიტეტის რექტორმა, მაკა ბერიძემ, განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა 2012 წელს იყო აკრედიტებული. შესაბამისად, ძალიან ბევრი დრო იყო გასული და შეცვლილი იყო მოთხოვნები პროგრამის მიმართ. დაწესებულება პირველ რიგში შეხვდა პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს, ამიტომ პირველ რიგში რეგიონის საჭიროებებიდან გამომდინარე, რისი შეტანაც იყო პროგრამაში აუცილებელი მათთან არკვევდნენ, მაგ., ენების პრობლემა, როგორი ბლოკი უნდა ყოფილიყო უცხო ენები. ყველა სხვა პროგრამაში აქვთ ინგლისური ენა, მაგრამ დამსაქმებლებთან შეხვედრების დროს მათ ურჩიეს, რომ ინგლისურ ენასთან ერთად შეეთავაზებინათ სხვა ენებიც. განსხვავებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ თავიდან ცდილობდნენ უცხოური უნივერსიტეტების მსგავსი ტიპის პროგრამები შეეთანხმებინათ, სადაც უფრო მეტი აქცენტი იყო მათემატიკის მიმართულებაზე, თუმცა ვინაიდან პროგრამა მულტიდისციპლინურია და ეკონომიკა-ბიზნესს თავისი მოდული შემოჰქონდა ამ პროგრამაში, განიხილეს თუ რამდენად იყო მათემატიკის საჭიროება, პროფესორებმა არგუმენტად დაასახელეს, რომ ვინაიდან პროგრამაზე მიღების წინაპირობად ერთ-ერთ საგნად აუცილებლად ტოვებდნენ მათემატიკას, ამასთანავე სკოლის მათემატიკა აბსოლუტურად საკმარისია შემდეგი სტატისტიკის სასწავლად. პროგრამა რამდენჯერმე დადარდა სხვა უნივერსიტეტების იმავე პროგრამებს და სხვა პროგრამებში უფრო მეტად იყო სოციალური მიმართულება გაძლიერებული და შედარებით ცოტა იყო სხვა მოდულები, დაწესებულებამ კი გადაწყვიტა თანაბარი პარიტეტი შეენარჩუნებინათ საგნების ჯგუფებს შორის. ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო, რომ საჯარო მმართველობის მოდული ცალკე გამოსულიყო, დაწესებულებას აღნიშნულ საკითხზეც ჰქონდა მსჯელობა, თუმცა მაშინ ეს მოდული ცალკე მხოლოდ იმიტომ არ გამოიტანეს, რომ პროგრამის განხორციელებაში სხვადსხვა მიმართულების პროფესურა იყო ჩართული, თუმცა მათ არ ჰყავდათ ბევრი სპეციალისტი უშუალოდ საჯარო მმართველობის მიმართულებით.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რამდენიმე სილაბუსის გაცნობის დროს საბჭომ დაადგინა, რომ შინაარსობრივი ნაწილი ძალიან ემთხვეოდა ერთ-ერთი სასწავლებლის

სილაბუსებს და ეს არ არის მხოლოდ ერთ სილაბუსში. მან სთხოვა უნივერსიტეტის რექტორს ესაუბრა აღნიშნულ საკითხზე, ჰქონდა თუ არა ინფორმაცია.
უნივერსიტეტის რექტორმა, მაკა ბერიძემ, დააზუსტა გულისხმობდა თუ არა საბჭოს თავმჯდომარე სილაბუსებს, რომლებიც ემთხვეოდა სხვა უნივერსიტეტის სილაბუსებს.
უნივერსიტეტის რექტორმა, მაკა ბერიძემ, სთხოვა დაეკონკრეტებინათ სილაბუსები.
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, განაცხადა, რომ საუბარია არა მხოლოდ საჯარო მმართველობის მიმართულებაზე, არამედ საუბარია სოციალურ მეცნიერებებზე, ეკონომიკაზე, ძალიან ბევრი სილაბუსის მიზნები, შედეგები, სწავლის თემატიკა, სახელმძღვანელოები ფაქტობრივად გადმოტანილია სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იდენტური პროგრამიდან, შესაბამისად სთხოვა ესაუბრა აღნიშნულ საკითხზე.
უნივერსიტეტის რექტორმა, მაკა ბერიძემ, განაცხადა, რომ როგორც ასეთი, რომ აეღოთ რომელიმე პროგრამა და ასეთი კოპირება გაეკეთებინათ, არ მომხდარა, თუმცა ყველა პედაგოგი თავის სილაბუსზე თვითონ მუშაობდა.
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, განმარტა, რომ ეს არ ეხება ერთ სილაბუსს, ეს მასობრივად ხდებოდა, მაგ., ეკონომიკის მიმართულებას და სამართალს სხვადასხვა კითხულობს, შეუძლებელია ერთი პედაგოგი იყოს. მას შეეძლო დაეკონკრეტებინა სილაბუსი, რომელიც აბზაც-აბზაც და წინადადება-წინადადება მიჰყვებოდა სხვა უსდ-ს სილაბუსებს.
უნივერსიტეტის რექტორმა, მაკა ბერიძემ, განაცხადა, რომ, დეტალურად არჩევდნენ რომ სილაბუსებს შორის არ ყოფილიყო გადაფარვა, და თვითონაც აქტიურად ჩართული იყო ამ პროცესში.
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, განმარტა, რომ საუბარი იყო არა იმავე ინსტიტუციის სილაბუსებზე, არამედ იმაზე რომ დაწესებულების სილაბუსები ემთხვეოდა სხვა უნივერსიტეტის სილაბუსებს.
უნივერსიტეტის რექტორმა, მაკა ბერიძემ, განაცხადა, რომ ეს მისთვის სიახლეა. პროგრამის განხილვის ეტაპზე ისმენდნენ თუ სად შეიძლება ყოფილიყო გადაფარვა ორ სილაბუსს შორის, სადაც შესაძლებელია შინაარსი დამთხვეოდა, თუმცა შესაძლებლობა, რომ რომელიმე უნივერსიტეტის სილაბუსებთან დაედარებინა არ ჰქონდა. პირადად მას ჰქონდა კავკასიის უნივერსიტეტის პროგრამა, რომელსაც უბრალოდ შეხედა და კიდევ 2-3 პროგრამას, ბევრი ვერც იპოვა ქართულ სინამდვილეში და ამ შემთხვევაში მხოლოდ პროგრამის სტრუქტურაზე მიუწვდებოდა ხელი.
პროფესორმა, ცისკარა ზარანდიამ, განაცხადა, რომ ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით არსებული სილაბუსები არის იგივე, რასაც ახორციელებენ „ბიზნეს ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არ საუბრობენ უნივერსიტეტის შიგნით არსებულ სილაბუსებზე, საუბარია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული სილაბუსების დამთხვევაზე.
საბჭოს წევრი, ლევან მოსახლიშვილმა, განაცხადა, რომ საუბარი იყო ორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იდენტურ საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებულ სილაბუსებზე, ეს არის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალი და სოციალური მეცნიერებები.
უნივერსიტეტის რექტორმა, მაკა ბერიძემ, განაცხადა, რომ თუ საუბარია უშუალოდ სამართალზე, აღნიშნულ უნივერსიტეტს და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტს ერთი პროფესორი ჰყავთ, შესაძლოა ეს არის მიზეზი.
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, განმარტა, რომ საუბარია სხვადასხვა პროფესორზე, იგივეა სოციალურ მეცნიერებებშიც, „საჯარო პოლიტიკის ანალიზში“.
უნივერსიტეტის რექტორმა, მაკა ბერიძემ, დაადასტურა, რომ სამართალში ნამდვილად ერთიდაიგივე პროფესორი ჰყავთ. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი კურსის მოსამზადებლად

სპეციალურად მოიწვიეს პროფესორი, მაგ., ფსიქოლოგიის სილაბუსის. მას აზრადაც არ მოსვლია მსგავსი საკითხის დადარება, რადგან აღნიშნული სილაბუსების ფარგლებში შეისყიდეს ლიტერატურა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, ეკონომიკურ ბლოკთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დადარებისას, როდესაც საუბარია ეკონომიკის საფუძვლებზე ძალიან განსხვავებული სილაბუსი ვერ იქნება, როდესაც ერთიდაიგივე ლიტერატურით ხელმძღვანელობენ, პროგრამის ჯგუფმა უკეთ რომ დაადაროს, მაგ., ადამიანური რესურსების მართვის სილაბუსი, პოლიტიკა, მენეჯმენტის საფუძვლები, საჯარო ფინანსები, დასახელებულ გორის უნივერსიტეტის სილაბუსებს, ძალიან დიდი დამთხვევაა, 1-2 სიტყვის ცვლილებაა მხოლოდ და მისი მოსაზრებით შეუძლებელია ორმა სხვადასხვა ჯგუფმა იმუშაოს და ასეთი იდენტური სწავლის შედეგები გაწეროს. სილაბუსები დაახლოებით ერთიდაიგივე შედეგზე გავლენ მაგრამ ხელწერა ყველა ლექტორს განსხვავებული აქვს.
უნივერსიტეტის რექტორი, მაკა ბერიძე დაეთანხმა საბჭოს წევრს და სრულად გაიზიარა მისი მოსაზრება.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დასძინა რომ საბჭოც ითვალისწინებს იმ მინიმალურ დამთხვევას, რომელიც მაგ., შეიძლება გამოწვეული იყოს დარგობრივით, მაგრამ ამ შემთხვევაში ცოტა მეტზეა საუბარი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:42
დასრულების დრო: 22:25

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის პირველი სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რადგან 1.1 და 1.2 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რადგან კომპონენტი 2.2, 2.3 და 2.6 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; კომპონენტი 4.1 ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; მეხუთე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რადგან კომპონენტი 5.1 ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; კომპონენტი 5.2 და 5.3 ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

1. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტი ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას აწარმოებდეს სისტემურად და სრულყოფილად, რათა დეტალური იყოს საჯარო მმართველობის ბაკალავრის კვალიფიკაციის კურსდამთავრებულთა მიმართ არსებული მოთხოვნები;

2. პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში სწავლის შედეგების გასაანალიზებლად , რეკომენდირებულია დაიხვეწოს სტუდენტის სასწავლო პრაქტიკის ანგარიშისა და პრაქტიკის ობიექტზე ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის შეფასების ფორმები. ასევე სასწავლო პრაქტიკის სილაბუსში დაზუსტდეს მიმღები დაწესებულების მიერ სტუდენტის შეფასების პროცესი შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების დადგენის მიზნით.

4. საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის პირველი მიზნით გათვალისწინებულ ისეთ სამიზნეებთან თავსებადობა, როგორიცაა საჯარო მმართველობის თეორიისა და პრინციპების ცოდნა და კრიტიკული ანალიზი საჭიროებს მეტ აქცენტირებას უშუალოდ საჯარო მმართველობის თეორეტიკოსთა და ავტორთა მეტად რელევანტურად წარმოდგენას. პროგრამის სტრუქტურაში საჯარო მმართველობის რელევანტური სამართლებრივი, ეკონომიკური, მენეჯერული და სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლების მიღმა, რეკომენდებულია პროგრამა მეტად აქტიურად ეფუძნებოდეს და ცალკე სტრუქტურული ერთეულის - მაგ. მოდულის სახით ასახავდეს უშუალოდ საჯარო მმართველობისთვის რელევანტურ შესაბამისი საგნების ერთობლიობას;

5. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში აქცენტი კეთდება მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სტატისტიკურ მეთოდებზე, მათ შორის საკმაოდ ინოვაციურ კურსზე - სოციალური სტატისტიკა, რეკომენდებულია, რომ პროგრამა ასევე შეიცავდეს თვისებრივი კვლევის მეთოდების ათვისების შესაძლებლობასაც;

6. რეკომენდებულია, რომ პროგრამის ფარგლებში აცილებულ იქნას თემატიკის გადაფარვა, რაც დღეს ფიქსირდება მენეჯმენტის საფუძვლების, სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლების, შესავალი საჯარო მმართველობაში კურსების დონეზე ისეთი თემატიკის გადაფარვით, როგორიცა ორგანიზაციული კულტურა, ორგანიზაციული ცვლილებები და ა.შ. ხოლო საჯარო მმართველობის კურსმა მოიცვას საჯარო მმართველობის რეფორმირების სტანდარტები და ასახოს სფეროს განვითარების ტენდენციები და თანამედროვე სტანდარტები;

7. რეკომენდებულია, „ზოგადი ფსიქოლოგიის“ სავალდებულო ლიტერატურა შემცირდეს ისე, რომ მათი გაცნობა სემესტრის განმავლობაში რეალისტური იყოს. ასევე, მიზანშეწონილია, რამდენიმე სასწავლო კურსის („ევროპის სოციალური პოლიტიკა“, „ადამიანის ძირითადი უფლებები“, „პოლიტიკური მეცნიერების შესავალი“, „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“, „საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემა“ და სხვა) სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის გვერდების მოცულობა მიეთითოს, რათა ცხადი გახდეს სასწავლო კურსის კრედიტებთან თავსებადობა;

8. რეკომენდებულია, საგნებს „დემოკრატია და მოქალაქეობა“ და „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ შორის ურთიერთგადაფარვა აღმოიფხვრას;

9. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემა“ მიზნების უფრო მეტად უზრუნველსაყოფად სილაბუსის შინაარსი შეივსოს საჯარო მმართველობისთვის რელევანტური საკითხებით;

10. რეკომენდებულია, საგნის „ზოგადი ფსიქოლოგია“ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის ექვსი შედეგი გადმოიცეს მოქმედი ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით.

11. რეკომენდებულია პრაქტიკის ობიექტების რაოდენობის შემდგომ ზრდაზე ზრუნვა, რათა სტუდენტთა გადანაწილება ხდებოდეს სხვადასხვა ობიექტებზე მეტად დივერსიფიცირებულად და არა ისე, როგორც ეს დღეს ხორციელდება;
12. რეკომენდებულია, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლება-სწავლის მეთოდები მიზნობრივად იყოს გამოყენებული და გაიმიჯნოს შეფასების ინსტრუმენტებისგან;
13. რეკომენდებულია, რომ შეფასების კომპონენტები კურსების შემთხვევაში ნაკლებად ატარებდეს უნიფიცირებულ ხასიათს და მეტად ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას. ასევე, რეკომენდებულია, რომ კურსების შეფასების კომპონენტებს, რომლებიც დღეს საკმაოდ სტანდარტიზებულია კურსების სპეციფიკურობის პირობებში, თან ახლდეს შესაბამისი დეტალური აღწერილობა, რათა ჩანდეს ის კონკრეტული მოთხოვნები, რასაც კურსის ავტორები უყენებენ სტუდენტებს იმ ზოგადი მოთხოვნების მიღმა, რომლებიც შეფასების გრადაციებში ჩანს;
14. რეკომენდებულია, რომ პროგრამაზე გაიზარდოს ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) შესაბამისი დარგობრივი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა, ისევე როგორც გაუმჯობესდეს ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) სასწავლო კურსების/კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალის შემადგენლობა;
15. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში აქტიური ჩართვის მიზნით, ასევე მეტად სისტემატიზებულად მართოს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და შედეგების ანალიზის პროცესი. შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამის ხელმძღვანელმა/თანახელმძღვანელმა და უსდ-ს ადმინისტრაციამ გააააქტიურონ მუშაობა პერსონალთან საჯარო მმართველობის სფეროსთან თავსებადი პუბლიკაციებისა და საკონფერენციო ნაშრომების რაოდენობის ზრდის მიზნებისათვის.
16. პროგრამის შემუშავების პროცესში დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს,პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სრულფასოვნად ჩართულობა, ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.
17. რეკომენდებულია, უსდ-მ პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესში იზრუნოს შიდა ხარისხის მექანიზმების ჯეროვნად გამოყენებასა და ამოქმედებაზე გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმებისა და წესების დაცვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.
18. მიზანშეწონილია, ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების მექანიზმი გაიმიჯნოს კოლეგიალური შეფასებისგან, აკრედიტაციისას გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად გადადგმული რელევანტური ღონისძიებები კი სრულად აისახოს თვითშეფასების ანგარიშში;
19. რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის ღონისძიებები სასწავლო კურსების დახვეწის, სასწავლო პროცესის განვითარების, საწარმოო პრაქტიკის შესრულების, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის, პრაქტიკული კომპონენტის გაზრდისა და სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიმართულებით.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტი, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის და 3^2 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 24 ივნისს, 22:30 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
წევრი/სხდომის მდივანი
ჩოჩიშვილი დავით